გაზეთი ბიეჯრიან. „ვერსიან" ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№45 (940) 5 - 6 მაისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

რევოლუცია მსოფლიო მედიცინაში – C ჰეპატიტი განკურნებადია

ახალი პრეპარატი დაავადებას 3 თვეში ამარცხებს!

გვ. 9

ლაურა ღაჭავა შს მინისტრთან შეხვედრას გეგმავს



გვ. 3

„მეხუთე კოლონა" და ბიზნესმენ დავით კოდუას ცემის სკანდალური ვერსია

ნესტან კირთაძე მღვდლებს ანაფორის გახდას ურჩევს

„ოცნება", ნაციონალებთან ერთად, ხმებს კარგად დაითვლის და „დემოკრატიის დესერტს" ნინოსაც გაუგზავნის, რომელიც ცვბილი არ იქნება"

გვ. 4

სამართალი

მედიაციის ინსტიტუტი ქართულ მართლმსაჯულებაში და მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში

გვ. 11

გვ. 5

ექსკლუზიური ფოტოები და პროვოკაცია, რომელსაც ახალაიას ბანაკი ლაშა შუშანაშვილს უწყობს

ვის პოლიტიკურ ინტერესებში შედის რუსთავში მძღოლების გაფიცვა

გვ. 8

მანანა ნიკოლაიშვილი პედაგოგთა პროფესიული სტანდარტის წინააღმდეგ

რა კითხვები და ეჭვი უჩნდება განათლების ექსპერტს პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ახალი სქემის თაობაზე

გვ. 4

ტრანსგენდერი ზიზი საქართველოს მოქალაქეობაზე უარს ამბობს

„საერო და სასულიერო ხელისუფლება ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს!“

თამარ კორძაია ანტიდისკრიმინაციული კანონის ირგვლივ აფეხილ ხმაურში რუსულ ინტერესებს ხედავს

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲨᲔᲚᲘᲐ
557-100-768

ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტი პარლამენტმა ერთხმად დაამტკიცა, სასულიერო პირების ნაწილი კი ხელისუფლების მისამართით საპროტესტო აქციებს აანონსებს და არეულობით იმუქრება. ახდენს თუ არა ეკლესია პარლამენტზე ზეწოლას და რამდენად მოსალოდნელია 17 მაისს სამოქალაქო დაპირისპირება? — ვერსიას“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ᲗᲐᲛᲐᲠ ᲙᲝᲠᲫᲐᲘᲐ ესაუბრა.

— როცა ეკლესია რომელიმე კანონპროექტთან დაკავშირებით საკუთარ პოზიციასა და აზრს გამოხატავს, მისაღებია, მაგრამ ის, რაც ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტთან დაკავშირებით საკომიტეტო მოსმენაზე ხდებოდა, რეალურად, სასულიერო პირებისგან პარლამენტზე ზეწოლა იყო — პოზიციის მუქარითა და აგრესიით დაფიქსირება აბსოლუტურად დაუშვებელია.

— **ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის დამტკიცების შემდეგ სასულიერო პირების ნაწილის განცხადებები ბევრად აგრესიული გახდა — ხელისუფლებას მასშტაბური არეულობით ემუქრებიან...**

— კომიტეტის სხდომაზეც გვითხრეს, ჭკუით იყავით, თქვენ მომავალში არავინ აგირჩევთო. თუ არჩევნებზე ხმას არ მოგვცემენ, ეს მხოლოდ კოალიციის პრობლემაა და სასულიერო პირები მსგავსი ტონით არ უნდა გვესაუბრებოდნენ. რაც შეეხება გარკვეული სასულიერო პირების მიერ დაანონსებულ მასშტაბურ არეულობებს, მათ ძალას ვერ შევაფასებ, მაგრამ, როგორც რიგით მოქალაქეს, მგონია, რომ ეკლესიის როლი სიმშვიდისკენ მოწოდება და კრიზისულ ვითარებაშიც კი კომპრომისის მიღწევაა, ეს მუქარა კი სამოქალაქო დაპირისპირების წაქეზებას ჰგავს. დროა, საერო და სასულიერო ხელისუფლება ერთმანეთისგან გაიმიჯნოს!

— **ეს როგორ მოხერხდება?**

— საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის ზღვრის გავლება საკმაოდ რთული პროცესია, თუმცა ეს აუცილებელი განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა, რაც კომიტეტის სხდომაზე სასულიერო პირებისგან გაუგებარი განცხადებები მოვისმინეთ. როცა სასულიერო პირებს ვახსენებ, მხოლოდ იმ ადამიანებს ვგულისხმობ, რომლებიც პარლამენტში ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტთან დაკავშირებით საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ. ვიმეორებ, აზრის გამოხატვის უფლება ყველას აქვს, მაგრამ აგრესიისგან თავი ყველამ უნდა შეიკავოს.

— **თუ ანტიდისკრიმინაციული კანონი, მართლაც, ერთსქესიანთა ქორწინების საფუძველი გახდება და სკოლებშიც ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა დაიწყება, ეკლესიამ განგაშის ზარს არ უნდა შემოკრას?**

— მსგავსი საუბარი მხოლოდ არაკომპეტენტურობის შედეგია და ელემენტარული საკითხების ცოდნას არ ემყარება. ვინც მსგავს განცხადებებს აკეთებს, უნდა ესმოდეს, რომ გარკვეულ საკითხებში მასწავლებლებიც შეზღუდულნი არიან, პედოფილია კი დანაშაულია და მას სექსუალურ ორიენტაციასა თუ გენდერულ იდენტობასთან კავშირი არ აქვს. ამ თემების ტირაჟირება, განსაკუთრებით არასაპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან, შეგნებულად ხორციელდება.

— **ვისი დაკვეთით? პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ქვეყანა ევროპული ან რუსული არჩევანის წინაშე დგას ანუ ანტიდისკრიმინაციული კანონის გაპროტესტებით ვიღაცები რუსეთის ინტერესების გატარებას ცდილობენ?**

— თუ შედეგის თვალსაზრისით ვიმსჯელებთ და დავფიქრდებით, სასულიერო პირების მოთხოვნების შესრულებამ სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი ქვეყანაში რუსეთის ინტერესების გატარებას უწყობენ ხელს. უბრალოდ, ამის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია არ მაქვს და ვერ ვიტყვი, რომ სასულიერო პირები რუსეთის საკეთილდღეოდ შეგნებულად მოქმედებენ. ერთ საკითხს კი ხაზს გავუსვამ — „ქართულმა ოცნებამ“ საპარლამენტო არჩევნებამდე დააფიქსირა საკუთარი პოზიცია. ჩვენ ევროპული ღირებულებებისა და ადამიანის უფლებების დაცვას ვირჩევთ, ამიტომ არ მგონია, საზოგადოებრივი აზრის ფორმირება გარკვეულმა პოლიტიკურმა თუ სხვა ჯგუფებმა პროვოკაციული განცხადებებით შეძლოს. ქვეყანამ ევროპული არჩევანი დიდი ხნის წინ გააკეთა და მთავარია, ეს რთული გზა ბოლომდე გავიაროთ. იმედი მაქვს, ანტიდისკრიმინაციული კანონი სრულყოფილად იმუშავებს!

ᲗᲔᲐ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲐᲜᲘ: „ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲛᲣᲨᲐᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲣᲬᲔᲕᲓᲔᲗ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ!“

ბიზნესმენ დავით კოდუასთან დაკავშირებული ინციდენტი მოწმობს, რომ ხელისუფლებამ უფრო აქტიურად უნდა იმუშაოს, რათა ადამიანებს ქუჩაში არ უწევდეთ ანგარიშსწორება, — ასე გამოეხმაურა იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი დავით კოდუას ცემას.

მინისტრის შეფასებით, მომხდარი ითხოვს გამოძიებას და უნდა მიეგოს პასუხი თითოეულ მათგანს იმაში, რაშიც დამნაშავენი არიან ერთმანეთის წინაშე. ჟურნალისტებთან საუბრისას თეა წულუკიანმა დავით კოდუაზე მომხდარი ფიზიკური ანგარიშსწორება დაგმო:

„პირველ რიგში, ცალსახად მინდა დავგმო დავით კოდუას წინააღმდეგ განხორციელებული ფაქტი. ყველანაირი ტიპის ძალადობა დაუშვებელია, თუკი ჩვენ უნდა ვიყოთ და ვართ ცივილიზებული საზოგადოება. რა თქმა უნდა, გასაგებია, რომ იყო გარკვეული პრეტენზია ძალადობის ავტორის მხრიდან და შეხვედრამ გაღიზიანება გამოიწვია, მაგრამ ეს ის მეთოდი არ არის, რომლითაც შეიძლება ადამიანს ანგარიში გაუსწორო. ეს ამავე დროს მოწმობს იმას, რომ ხელისუფლებამ უფრო აქტიურად უნდა იმუშაოს იმისთვის, რომ ადამიანებს არ უწევდეთ ქუჩაში ანგარიშსწორება და ეს სამართლებრივ ჩარჩოში გამოძიების თუ ადეკვატური სასჯელის მისჯის გზით უნდა ხერხდებოდეს და არა ქუჩაში კერძო პირებს შორის ანგარიშსწორებით. მომხდარი თავდასხმა მიუღებელია და იმედი მაქვს, მსხვერპლი მალე გამოჯანმრთელდება. მინდა, ყველა იმ ადამიანს, ვინც გაღიზიანებულია ნაციონალური მოძრაობის 9-წლიანი არაადამიანური მმართველობით, მოვუწოდო იმისკენ, რომ გვევალება, ვიფიქროთ ქვეყანაზე და საკუთარ თავზე, რადგან ცემა სისხლის სამართლის დანაშაულია და ნუ გავხდებით უნებურად სხვადასხვა გაუგებრობის მსხვერპლნი“.

ამასთან, იუსტიციის მინისტრი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ბრალდებებსაც გამოეხმაურა და მოუწოდა, „ნუ იქნებიან ბოროტად გახარებულნი იმით, რაც დავით კოდუას დაემართა“: **„მესმის, თავდასხმა დავით კოდუაზე, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს ხელისუფლებასთან, გაუბედურებული ადამიანის შურისძიებაა. ნუ გაუხარდება ეს ფაქტი ნაციონალურ მოძრაობას და ნუ გამოიყენებს საკუთარი პოლიტიკური ქულების დასაწერად. მომხდარს ხელისუფლებასთან კავშირი არ აქვს და პროკურატურა ყველა ღონეს მიმართავს, რომ სიმართლე დადგინდეს. მომხდარი ითხოვს გამოძიებას და უნდა მიეგოს პასუხი პასუხი თითოეულ მათგანს იმაზე, რაშიც დამნაშავენი არიან ერთმანეთთან ურთიერთობაში. როგორც ჩანს, დავით კოდუას ამ ადამიანის წინააღმდეგ რაღაც ჰქონდა წარსულში ჩადენილი“.**

„ინტერპრესნიუსი“

ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐᲨᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲪᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ

როგორც იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, სპეციალიზებული სასამართლოს შემოღება არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის მოხდება.

„საკონსტიტუციო კომისიის სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა, რომ დავტოვოთ კონსტიტუციის ჩანაწერი, სადაც აკრძალულია სპეციალური და საგანგებო სასამართლოებს შექმნა, მაგრამ შემოვიტანოთ სპეციალიზებული სასამართლოს ცნება იმისთვის, რომ ჩვენი არასრულწლოვნებისთვის შეგვეძლოს სპეციალიზებული მოსამართლეების ყოლა საქართველოში“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

„პია.გე“

ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

ᲕᲐᲙᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲐᲖᲔ ᲣᲫᲠᲐᲕᲘ ᲥᲝᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲫᲕᲘᲠᲓᲐ

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლამ, მიმდინარე წლის მარტში უძრავი ქონების ბაზრის კვლევა ჩაატარა. კვლევის თანახმად, საცხოვრებელი ფართის საშუალო ღირებულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ვერაზე დაფიქსირდა, სადაც 1 კვადრატული მეტრი 1 385 აშშ დოლარია. თებერვალში ანალოგიური ფართის ფასი 1 303, იანვარში 1 940, დეკემბერში 1 303, ნოემბერში 1 065, ოქტომბერში 1 211 აშშ დოლარი იყო. ფასის მიხედვით, ვერას ვაკე მოჰყვება, სადაც 1 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართის ფასი მარტში 1 365 აშშ დოლარი იყო. აღსანიშნავია, რომ თებერვალში აღნიშნული უძრავი ქონების ფასი 1 291, იანვარში 1 279, დეკემბერში 1 291, ნოემბერში 966, ხოლო ოქტომბერში 979 აშშ დოლარი იყო. ფასის სიდიდის მიხედვით, მესამე ადგილზეა მთაწმინდა, სადაც 1 კვ.მ. შაცხოვრებელი ბინის ფართი 1 799 აშშ დოლარია. თებერვალში 1 260, იანვარში 1 430, დეკემბერში 1 260, ნოემბერში 831, ოქტომბერში 976 აშშ დოლარი იყო.

მიმდინარე წლის მარტში, ავლაბარში საცხოვრებელი ფართის ფასი 1 კვ.მ-ზე, საშუალოდ, 799 აშშ დოლარი იყო, თებერვალში 815, იანვარში 973, დეკემბერში 815, ნოემბერში 952, ოქტომბერში 1 002 აშშ დოლარი იყო. მეხუთე პოზიციას იკავებს საბურთალო, სადაც 1 კვ.მ. საცხოვრებელი ბინის ფასი 708 აშშ დოლარია. თებერვალში 803, იანვარში 843, დეკემბერში 803, ნოემბერში 739, ოქტომბერში 962 აშშ დოლარი იყო.

კვლევის ფარგლებში შერჩეული უბნებიდან, 1 კვ.მ. საცხოვრებელ ფართზე, ყველაზე დაბალი ფასი ლილოში — 489 აშშ დოლარი დაფიქსირდა, თებერვალში 520, იანვარში 499, დეკემბერში 499, ნოემბერში 402, ოქტომბერში 402 აშშ დოლარი იყო.

„ბი-პი-აი“

ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲛᲔᲬᲧᲔᲠᲛᲐ 500 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲘᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲐ

სულ მცირე 500 ადამიანი დაიღუპა ავღანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ბადახშანის პროვინციაში ჩამოწოლილი მეწყერის შედეგად.

ადგილობრივი ხელისუფლების განაცხადებით, ნანგრევების ქვეშ 2 100-მდე ადამიანია მოყოლილი. განადგურებულია 300-ზე მეტი სახლი.

ბადახშანის პროვინციაში მეწყერის ჩამოწოლა გადაუღებელმა წვიმებმა გამოიწვია.

„ინტერპრესნიუსი“

ლაურა ღაჭავა შს მინისტრთან შეხვედრას გეგმავს

„მეხუთე კოლონა“ და ბიზნესმენ დავით კოდუას ცემის სკანდალური ვერსია

გიორგი გიორგაძე

ბიზნესმენ დავით კოდუას ცემაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. ამასთან, საზოგადოების აზრი ორად გაიყო: ერთნი ნიშნისმოგებით აცხადებენ, რაც კოდუებმა 9 წლის განმავლობაში ადამიანები ამწარეს, აბა, რა ეგონათ, შერჩებოდათო?! მეორენი კი, ნებისმიერ ძალადობას გმობენ და სამართლიანობის კანონიერი გზით აღდგენას მიესალმებიან. ისე, ჩვენთვის რომ ვთქვათ, ძალადობა მართლაც დაუშვებელია, მაგრამ მოდით, კოდუაზე თავდასხმა ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების კონტექსტში განვიხილოთ.

მაშ ასე, პარლამენტმა ანტიდისკრიმინაციული კანონი სკანდალის, უფრო სწორად, მუქარის ფონზე დაამტკიცა. მუქარაა, აბა, რა არის, როცა საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი, რომელმაც თავის დროზე „აფხაზური პროვოკაცია“ მოაწყო, გამოდის და ამაყად აცხადებს, პარლამენტში შევცვივდებით და ყველას თავ-პირს დავამტვრევთო. სხვათა შორის, როცა თენგიზ კიტოვანმა ეს განცხადება გააკეთა, გვერდით საბჭოთა საქართველოსა და მოგვიანებით, შევარდნაძის ხელისუფლების შს მინისტრი რომან გვენცაძე ედგა.

წესით, ამ განცხადების გამო ამხანაგი კიტოვანი, რომელიც ბოლო წლებია, რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში ცხოვრობს, მინიმუმ, დაკითხვაზე უნდა დაებარებინათ, მაგრამ ოფიციალური უწყებები ომობანას მოყვარულ მხატვარს, როგორც ჩანს, სერიოზულად არ აღიქვამენ. არადა, კიტოვანი „ხელწამოსაკრავი ფიგურა“ თუნდაც იმიტომ არაა, რომ 1991-92 წლების თბილისის ომის ერთ-ერთი სულისჩამდგმელია. თბილისის ეს ომი კი, როგორც ისტორია მოწმობს, პირდაპირ თუ ირიბად, კრემლის პროვოცირებული გახლდათ.

ამასთან, არსებობს სხვა მონაცემებიც, რომლებიც კიტოვანის პრორუსულობაზე მიუთითებს. მაშასადამე, მსჯელობას ამ კუთხით თუ გავაგრძელებთ, შესაძლოა, „მეხუთე კოლონამდე“ მივიდეთ.

საერთოდ, „მეხუთე კოლონა“, ადრეულ საუკუნეებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, საქართველოს უახლესი ისტორიის თანმდევია, ამ ინსტიტუტს ყველაზე კარგად კი რუსული სპეცსამსახურები იყენებდნენ და იყენებენ.

როდის აქტიურდება და რა არის „მეხუთე კოლონის“ მიზანი?

გააქტიურება, როგორც წესი, მაშინ იწყება, როცა ქვეყანა ევროპას, მინიმუმ, ერთი ნაბიჯით უახლოვდება ხოლმე; მიზანიც მარტივია — საქართველოში ფართომასშტაბიანი დესტაბილიზაცია — „ბეზპრედელი“, არეულობა, ქურდობა-ყაჩაღობა დაიწყოს და მშვიდობასმონატრებულმა ხალხმა თქვას, საქართველოს ერთადერთი პატრონი და გულშემატკივარი რუსეთიაო.

ყველაფერი ეს, შეიძლება, ვინმეს უტრირებულად მოეჩვენოს, მაგრამ გავიხსენოთ:

მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, ხელისუფლების სათავეში ეროვნული ძალები მოვიდნენ თუ არა, ვიღაცის უხილავმა ხელმა იმდენი გააკეთა, ეროვნული ხელისუფლება და ჭეშმარიტი მამულიშვილები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ — სახელოვანი მწერლები, პოეტები, მსახიობები თუ სპორტსმენები „წითელ ინტელიგენციად“ გამოცხადდნენ ანუ მარტივად რომ ვთქვათ, „გათიშე და იბატონე“-ს პრინციპი ამოქმედდა, რამაც მხოლოდ თბილისი კი არ გაასწორა მიწასთან, ქვეყანა უკან რამდენიმე ათეული წლით დაწია.

ყველა დროსა და ეპოქას თავისი „მეხუთე კოლონა“ ჰყავს. როგორ ხდებიან „მეხუთე კოლონის“ წევრები? — ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს... „მეხუთე კოლონის“ ერთ-ერთი მახასიათებელი დეზინფორმაციის გავრცელებაა, რაც კარგად გამოჩნდა ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის განხილვისას. სასულიერო პირების პოზიციის განსჯა, ალბათ, არ ღირს — ეჭვგარეშეა, მღვდლები კეთილშობილური მოტივით ხელმძღვანელობენ, თუმცა არც იმის უგულებელყოფა შეიძლება, რომ მთლად „მეხუთე კოლონა“ თუ არა, რამდენიმე თავისიანი კრემლს ეკლესიაშიც ჰყავს შეგზავნილი(!).

ამ ვერსიას ისიც ამყარებს, რომ ერთ-ერთი მთავარი ფიგურა, ვინც ბოლო დროს აქტიურობს და ვისგანაც ვიღაცები ახალ მესიას ქმნიან, რუსეთში გამდიდრებული ლევან ვასაძეა.

„თუ ამ პარლამენტს სურს, მართლაც, დისკრიმინაციაზე იზრუნოს, მაშინ თითი თითზე დაადოს იმ 330 ათას დისკრიმინირებულ ქართველზე, რომელიც ციხეში ჩააყუდა სააკაშვილმა, 10 ათას ბიზნესმენზე, რომელთა დისკრიმინაცია მოხდა მარტო იმიტომ, რომ ნაციონალები არ იყვნენ და ყველაფერი აახიეს ქარხნებიანად, მამები და დედები გაუუპატიურეს... და როცა ამ ყველაფერს მორჩება ჩვენი სასამართლო, მერე ვიზრუნოთ სხვების დისკრიმინაციაზე“, – განაცხადა ერთ-ერთი სატელევიზიო გამოსვლისას ვასაძემ.

სააკაშვილის რეჟიმის დროს გამწარებული ხალხის რეაბილიტაცია, რასაკვირველია, აუცილებელია, მაგრამ ცოტა უცნაურია, რომ ამას ვასაძე ითხოვს ანუ ის უმდიდრესი ბიზნესმენი, რომელიც 9 წლის განმავლობაში რეჟიმის წინააღმდეგ თითს თითზე არ ადებდა, პირიქით, სააკაშვილთან და მის გუნდთან მეგობრობდა კიდეც. ყოველ შემთხვევაში, კონფიდენციალური წყარო „ვერსიას“ ეუბნება, რომ აგვისტოს ომის შემდეგ სააკაშვილმა ვასაძეს თითქოს პრემიერობა შესთავაზა, რაზეც პოეზიით გატაცებულმა ბიზნესმენმა უარი მხოლოდ იმ მოტივით თქვა, რომ ბიზნესს ყურადღებას ვერ მოაკლებდა(?!).

პოეზია ვახსენეთ და, „მეხუთე კოლონის“ კლასიკური მაგალითები 2008 წლის აგვისტოს ომის დროსაც გამოვლინდა. მართალია, ზოგიერთ შემოქმედ ადამიანს მაშინ ხმამაღალი განცხადებები არ გაუკეთებია, მაგრამ ვიწრო წრეში, თურმე, ლოცულობდა, ნეტავ, რუსული ტანკები თბილისში მალე შემოვიდნენო.

მარტივად რომ ვთქვათ, „მეხუთე კოლონა“, ოღონდ თვითონ იყოს კომფორტულად, სამშობლოს ინტერესებს არად დაგიდევთ და, თუ საჭირო გახდა, მხოლოდ ოკუპანტს კი არა, თვით ეშმაკსაც შეეკვრება!

მას შემდეგ, რაც ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება მოხდა, ექსპერტულ წრეებში ითქვა, რომ საქართველოსთვის მძიმე პერიოდი დადგა. ეს სიმძიმე კი იმაში გამოიხატება, რომ პრორუსული ძალები გააქტიურდნენ. ხელშეკრულების ხელისმოწერის მოახლოების პარალელურად, „მეხუთე კოლონა“ ღია დესტრუქციაზე გადავიდა და იმისთვის, რომ ევროპა და, საერთოდ, ევროპული ღირებულებები ქართული იდენტობის მთავარ მტრად გამოაცხადოს და მოსახლეობაში დასავლეთის მიმართ აგრესია გააჩინოს, უკან არაფერზე იხევს.

ასე, მაგალითად, ანტიდისკრიმინაციულ კანონში გაკვრითაც არაა ნათქვამი, რომ საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინება ნებადართული ხდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, სრული ისტერიკაა ატეხილი, ხალხო, ევროკავშირის მოთხოვნით, ლგბტ-ებს ოჯახების შექმნის უფლება მისცესო.

ვის აწყობს ასეთი დეზინფორმაცია? — ცხადია, მას, ვინც საქართველოს „რუსულ ჩიხში“ დატოვებისკენ ილტვის!

გარდა იმისა, რომ ზემოხსენებული თემით ხალხის ემოციაზე მანიპულირება კარგად შეიძლება, არეულობისთვის „ბეზპრედელიც“ მშვენიერი ფონია და ამ კონტექსტში შეგვიძლია, სწორედ ბიზნესმენ დავით კოდუაზე თავდასხმა განვიხილოთ.

ის, რომ 17 მაისისა და კარსმომდგარი ადგილობრივი არჩევნების წინ „ოცნებას“ მსგავსი „სისხლიანი გარჩევა“ ხელს აძლევდეს, ელემენტარულად, ნონსენსია. სამაგიეროდ, არაა გამორიცხული, ყველაფერ ამის უკან წინა ხელისუფლების პრორუსული ფრთა იდგეს.

სხვათა შორის, გარკვეული სუბიექტებისგან გაკეთდა განცხადებები, რომ ხელისუფლება უმოქმედოა, რადგან დღისით, მზისით, შუა ქალაქში ელექტროშოკებით შეიარაღებული ნიღბიანები უპრობლემოდ მოძრაობენ და ასე შემდეგ...

მოკლედ რომ ვთქვათ, ვიღაცას, ამ შემთხვევაში, „მეხუთე კოლონას“, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების, განსაკუთრებით კი, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის წინ, აწყობს, რომ ქვეყანაში ვითარება უმართავი გახდეს. ამ მოსაზრებას ისიც ამძაფრებს, რომ სოციალურ ქსელებში იმუქრებიან, კოდუა პირველია და ფიზიკური ანგარიშსწორება მასობრივ სახეს მიიღებსო...

ისე, როგორც „ვერსიისთვის“ გახდა ცნობილი, ბიზნესმენ ლაურა ღაჭავას არ სჯერა, რომ მის შვილს თავს ნოშრევან ნამორაძე დაესხა. როგორც „ვერსიის“ წყარო ამბობს, ღაჭავა, რომელიც ამჟამად უცხოეთშია, საქართველოში დაბრუნებისთანავე შს მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძესთან გეგმავს შეხვედრას... რა ინფორმაციას მიაწვდის ღაჭავა მინისტრს? — ამაზე მარჩიელობა არ ღირს, თუმცა თავისთავად საგულისხმოა, რომ თავდამსხმელი ნამორაძე, თავის დროზე, „ტიფლის დეველოპმენტის“ 50-პროცენტიანი წილის მფლობელი ყოფილა და საპატრიარქოს ფონდისა და საპატრიარქოს აქტიური დამფინანსებელი. თუმცა ეს მხოლოდ გონივრული ეჭვებია და რამდენად არის დაკავშირებული „ნამორაძის შურისძიების“ საქმე მეხუთე კოლონის გააქტიურებასთან, მოგვიანებით უფრო ნათელი გახდება.

ვერსიანიუსი

პრორუს სეპარატისტებს ეუთო-ს დამკვირვებლები ტუალეტში თვალახვეული გაჰყავდათ

ეუთო-ს გათავისუფლებული დამკვირვებლები ბერლინში ჩავიდნენ. გერმანიის თავდაცვის მინისტრ ურსულა ფონ დერ ლიაინერის თქმით, სამხედრო ექსპერტები „კარგ მდგომარეობაში“ იმყოფებიან.

ერთ-ერთმა დამკვირვებელმა, ჩეხეთის არმიის წარმომადგენელმა იოზეფ პრშეროვსკიმ განაცხადა, რომ მათ ცივ, ბნელ სარდაფში ამყოფებდნენ:

„ყველაზე ცუდი ტყვეობის პირველი 8 თუ 10 საათი იყო, როდესაც ტუალეტშიც კი თვალახვეული გავყავდით. ოთახი, სადაც ვიმყოფებოდით, 15-30 მეტრი იყო და ძალიან ციოდა. ვერ ვიძინებდით“.

ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის სამხედრო ექსპერტები პრორუსულად განწყობილმა სეპარატისტებმა სლავიანსკში 3 მაისს დააკავეს.

„ინტერპრესნიუსი“

17 მაისს 30 000-კაციანი ლოცვითი მსვლელობა იგეგმება

როგორც „პირველს“ აქციის ორგანიზატორმა ბექა ცხადაძემ განუცხადა, საპროტესტო მსვლელობას მცხეთის სხვადასხვა ტაძრიდან სასულიერო პირები და მრევლი შეუერთდება.

მისივე თქმით, მსვლელობის მონაწილეები სხვადასხვა დროს შექმნილ წმინდანთა გამოსახულებებსაც გამოფენენ და სახალხო დამცველს მიმართავენ, უზრუნველყოს მართლმადიდებელი მოსახლეობისთვის ღირებული ატრიბუტების დაცვა.

ამასთან, როგორც ცხადაძემ აღნიშნა, მომზადდება სპეციალური პეტიცია, რომლითაც მართლმადიდებელი მრევლი წმინდანთა კარიკატურების შემქმნელების დასჯას მოითხოვს, აღნიშნული პეტიცია კი სახალხო დამცველს გაეგზავნება.

17 მაისს დაგეგმილი აქციის ორგანიზატორების განცხადებით, ამავე დღეს კინოთეატრებში პირველი ქართული გეიფილმის პრემიერაც იგეგმება, რაც ასევე გახდება მსვლელობის მონაწილეთა პროტესტის საგანი.

„ყველანაირად ვეცდებით, ფიზიკური დაპირისპირება არ მოხდეს, მაგრამ ვითომდა კომედიური ჟანრის გეიფილმის ჩვენებას აუცილებლად გავაპროტესტებთ“, — განაცხადა ბექა ცხადაძემ.

17 მაისს ფილარმონიასთან დაგეგმილი აქციის მონაწილეები მსვლელობას რუსთაველის გამზირის მიმართულებით დაიწყებენ და საბოლოოდ, სამების საკათედრო ტაძარში გადაინაცვლებენ.

„პია.გე“

ნესტან კირთაძე მღვდლებს ანაფორის გახდას ურჩევს

„ოცნება“, ნაციონალებთან ერთად, ხმებს კარგად დაითვლის და „დემოკრატიის დესერტს“ ნინოსაც გაუგზავნის, რომელიც, რა თქმა უნდა, ტკბილი არ იქნება“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„ანტიდისკრიმინაციული კანონი იმიტომ კი არ მიიღეს, რომ ეს პრემიერ ღარიბაშვილს უნდოდა ან დავით უსუფაშვილი ცუდი, პირდაპირ პატრიარქისკენ მიმართული ალეგორიებით საუბრობდა, არამედ იმიტომ, რომ ეს საჭიროა! ქვეყანას, იუსტიციის მინისტრის სახით, მძიმე შემთხვევა ჰყავს — თეა წულუკიანს ყურებიდან ტვინი არ გადმოსდის, მაგრამ მშვენივრად ხვდება, რასაც აკეთებს — მისგან ყველა სამთავრობო ინიციატივა კონფრონტაციით, დაპირისპირებითა და არეულობის დაანონსებით შემოდის... არასწორი პროპაგანდის მიუხედავად, არავინ დაიჯეროს, რომ ეს კანონი ევროკავშირის საშვია. ის იმიტომ გვჭირდება, რომ ასეთია რეალობა, რომელსაც თვალი პარლამენტმაც უნდა გაუსწოროს და მთავრობამაც“, — ამბობს „ვერსიასთან“ საუბრისას ისტორიკოსი და პოლიტიკოსი ნესტან კირთაძე.

— ქალბატონო ნესტან, რეალობას თვალი საპატრიარქომაც უნდა გაუსწოროს?

— დიახ, საპატრიარქომაც თვალი გეებს კი არა, იმას უნდა გაუსწოროს, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში სასულიერო პირები პარტიული აქტივისტებივით იქცევიან. ეკლესიის მოძღვარმა, საპატრიარქოს წარმომადგენელმა, რომელიც საგურამოში, არჩევნების წინ ეკლესიის თავზე „ოცნების“ დროშას აღმართავს, საკუთარ მრევლსა და უფალს ბოდიში უნდა მოუხადოს. იმ მოძღვრებმა, რომლებიც, მნიშვნელობა არ აქვს, ვის სასარგებლოდ, მაგრამ არჩევნებზე მაინც ძალადობენ, თვალი გაუსწორონ დღევანდელ რეალობას და გააგრძელონ საუბარი მაღალ მატერიებზე. ნაციონალურ მოძრაობას არასოდეს დაუფარავს თავისი ღირებულებები: ამისთვის მოახდინა რევოლუცია, გავიდა კონსტიტუციის გარეთ, თქვა, არ ვემორჩილები კანონებს, ვიწყებ რეფორმებს, ვიმოქმედებ ისე, როგორც საჭიროდ ჩავთვლიო და ამ თანმიმდევრულობას დღესაც ინარჩუნებს. შენ კი, „ოცნება“ რომ დაგირქმევია, თავის დროზე, მოატყუე ხალხი, მოიპოვე ეკლესიის ნდობა, პატრიარქის კაბის კალთას ამოეფარე და დღეს საპატრიარქოსთან თანამშრომლობაც არ გინდა? ბოლოს და ბოლოს, ამას შენ კონკორდატი და საკონსტიტუციო შეთანხმება გაიძულებს. ან იქნებ, გინდა, ნაციონალებზე მეტი „პაპი“ გახდე?! — ვერასოდეს გახდები! გინდა, დასავლეთი ასიამოვნო, მოიპოვო მილიონები შენი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის — ესაა შენი მიზანი?! შენი მიზანია, ამათრახო შენი ეკლესია, უწოდო შავი, ბნელი, ფანატიკური?! ეს ანტიდისკრიმინაციული კანონი უნდა დარჩეს ჰომოსექსუალებისა და სხვა უმცირესობების ღირსების დაცვის, მშვიდობიანი თანაცხოვრების ფარგლებში და ყველაფერი ეს კანონის ენით უნდა ჩაიწეროს, ამას კი შრომა სჭირდება და არა თეა წულუკიანის ტლიკინი. ამას გელაპარაკებით მე, ადამიანი, რომელმაც 12-კაციან ჯგუფში დღე და ღამე ვათიე და ისე ვწერე საქართველოს კონსტიტუცია. ასე უნდა მოიქცეს პრემიერ-მინისტრიც, ამიტომ ახლა ოფლი მოიწმინდონ, დასხდნენ არა კაბიან მღვდლებთან, არამედ, საპატრიარქოს იურისტებთან, პროფესიონალებთან და კანონს ნამდვილად ანტიდისკრიმინაციული დატვირთვა მისცენ!

— ამ იურიდიულ გარჩევებში არაპროფესიონალი, კაბიანი მღვდლები, თქვენი აზრით, ასეთი აგრესიით რატომ ერთვებიან, ან რატომ აცხადებენ თინა წულუკიანი და ეკა ბესელია, რომ ამ კანონზე მუშაობისას საპატრიარქოსთან თანამშრომლობდნენ?

— მომეცით, უფლება, არ დავუჯერო ეკა ბესელიას და მჯეროდეს საქართველოს პატრიარქის. მათ შორის თანამშრომლობა რომ შემდგარიყო, მაშინ საპატრიარქო ასეთ განცხადებას არ გაავრცელებდა. აი, თუ პატრიარქი იტყვის, ჩემი არაა ეს განცხადება და ის შორენა თეთრუაშვილმა ან რამდენიმე მღვდელმა გაავრცელაო, მაშინ სხვა თემაა. რაც შეეხება იმ რამდენიმე სასულიერო პირს, რომელიც დეპუტატებს ანათემაზე გადაცემას უპირებენ — მათ სრული უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ განხილვებში, მაგრამ სანქციების ფორმით საუბარი არასწორად მიმაჩნია. სამწუხაროდ, ჩვენი მოძღვრების დიდი ნაწილი დღეს ბევრად მეტს საუბრობს სანქციებზე, ვიდრე სიყვარულზე. არადა, ჩვენი რელიგიის სიძლიერე სიყვარულშია და არა სანქციებში, თუმცა საელჩოებიდან გადაიგზავნებოდა ე.წ. რაპორტები თავიანთ ქვეყნებში, სადაც ალბათ, იფიქრეს, რომ საქართველოს ეკლესია ფანატიზმის ზღვარზეა. აი, ეს გაუკეთა ამ ხელისუფლებამ ჩვენს ეკლესიას — გალახა, შეურაცხყო ქართული ეკლესია და მას ფანატიზმისა და ფუნდამენტალიზმის იარლიყი მიაწება! ამიტომ რამდენი დროც უნდა გავიდეს, არ ვიცი, როდის მივუტევებ ეკლესიის ასე დაკნინებას, თუმცა, როგორც ერთი მოქალაქე და პოლიტიკოსი, ჩვენს მოძღვრებს ვურჩევ — დაანებონ თავი პარტიულ აქტივისტობას, პოლიტიკოსების დროშების ფრიალს, იზრუნონ ადამიანის სულზე, მეტი ილაპარაკონ სიყვარულზე და არა სანქციებზე. მოძღვრებს მივმართავ: გაიხადონ კაბები და ისე ივაჟკაცონ და, თუ კაბით არიან შემოსილნი, მაშინ ილოცონ და იზრუნონ ადამიანებზე, რათა ქვეყანას ახალი დისკრიმინაციული კანონი არ დასჭირდეს!

— პატრიარქი თბილისში არ იმყოფება. ხომ არ იცით, სინამდვილეში, როგორია მისი პოზიცია ამ კანონსა და მიმდინარე გარჩევებზე?

— პატრიარქმა ზუსტად იცის, რომ დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს სულიერი წინამძღოლია. იგი ვალდებულია, თავისი მოსაზრებები უთხრას ყველას, მათ შორის, ხელისუფლებასაც, მაგრამ პატრიარქი მაგიდაზე ხელს არასოდეს დაარტყამს და იტყვის, კანონი მიიღეთ, ან არ მიიღოთო. ის კი არ მაშინებს, რას იტყვის ხვალ პატრიარქი, არამედ, ის, რომ საქართველოში მისი არყოფნის დროს, სიტყვიერი ექსტრემიზმი ფიზიკურში არ გადაიზარდოს. ამის ნაპერწკალი უკვე ჩანს და ცეცხლის დანთება ბევრის ინტერესში შედის, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთაც.

— ხომ არ შეიძლება, ეს კოცონი სწორედ 15 ივნისს, საარჩევნოდ აბრიალდეს?

— ჩემი აზრით, არჩევნებს მხოლოდ სიმბოლური ხასიათი აქვს და ქვეყანაში არაფერს შეცვლის. უბრალოდ, კოალიციაში მყოფი რამდენიმე სუსტი პარტია რეგიონებში თავის ინფრასტრუქტურას ოდნავ გააძლიერებს, ან მაგასაც ვერ მოახერხებს. ესეც დიდი არაფერია, რადგან ხვალ ისევ გამოჩნდება ვიღაც თეთრ ცხენზე ამხედრებული და ხალხი „პაჩკა-პაჩკა“ გადაეწყობა პარტიიდან პარტიაში. გარდატეხის თარიღი 15 ივნისი კი არა, მაისის ბოლოს ევროპარლამენტის არჩევნები რომაა, ისიც არ იქნება. არ ვიცი, ამ ადგილობრივ არჩევნებს ვინ, როგორ შეაფერადებს, მაგრამ, როცა თვითმმართველ ქალაქს ან რეგიონს დაფინანსების საკუთარი წყარო არ აქვს და მაინც ცენტრალურ მთავრობასთან უნდა მივიდეს, ე.ი. არაფერი იცვლება. მთავრობა ადგილზე დაგისვამს თავის წარმომადგენელს... მთელ ამ ბიუროკრატიაში იმდენი ფული იხარჯება, სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის საკმარისი თანხა აღარ რჩება. ასე რომ, ივნისში გარდატეხას არ უნდა ველოდეთ, მაგრამ უფრო გარდამტეხი, ალბათ, შემოდგომის დასაწყისი იქნება, როგორც ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის ნიადაგის მომზადება.

— პირდაპირ რომ ვთქვათ, ადგილობრივ არჩევნებში იმიტომ არ მონაწილეობთ, რომ აზრი არ აქვს?

— ჩემი 20-წლიანი პოლიტიკური მოღვაწეობა, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, საპრეზიდენტო კანდიდატობისას დავასრულე. ჩემთვის ეს ფორმალური არჩევნები არც საიმედოა და არც საინტერესო. რაც შეეხება გეგმებს, ახლა ძირითადად უცხოეთში ვარ, 2 დღის წინ, ბრიუსელში, ბასტიონ-თაუერში დიდი პროექტის — „ევროპა ხვდება საქართველოს“ წარდგენა დასრულდა, რომელიც ანა რეხვიაშვილმა წარადგინა და მას ყველაზე ამბიციური ქართული პროექტი უწოდეს. 5 მაისს ნიუ იორკში ვიქნები, სადაც ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სამშვიდობო მოძრაობის ოფისი იხსნება. მექნება შეხვედრები გაერო-ს მაღალჩინოსნებთან, შემდეგ გადავინაცვლებ ვაშინგტონში, სადაც ასევე მნიშვნელოვანი შეხვედრებია დაგეგმილი... შემდეგ უკრაინაში ქალთა ბიზნესფორუმს დავესწრები, მერე კვლავ ბრიუსელში მივფრინავ, სადაც დიდ პრესკონფერენციას ვგეგმავ, მივდივარ მაკედონიაში, რადგან იქ გამორჩეულად ლიბერალური საგადასახადო სისტემა აქვთ და ამ მოდელის საქართველოში ჩამოტანა მინდა... მოკლედ, მინდა, ჩემი საპრეზიდენტო დაპირებები სამოქალაქო დიპლომატიის დონეზე შევასრულო. აქვე, იმასაც გეტყვით, რომ ჩემს მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯი ჩემივე ჯიბიდან ფინანსდება და არავისგან შემოწირულობა არ მიმიღია!

— არჩევნები თქვენს გეგმებში რომ არ შედის, გასაგებია, მაგრამ საინტერესოა, რას ფიქრობთ წინასაარჩევნო გარემოზე ან იმ საოცარ ბლოკებზე, რომლებიც საარჩევნოდ შეიკრა — ქრისტიან-დემოკრატებისა და ნინო ბურჯანაძის ერთობა, ახალი მემარჯვენეები და კახა კუკავა?

— ამ შემთხვევაში, განმსაზღვრელი მათი პოლიტიკური ორიენტაცია კი არა, ფული იყო. ქრისტიან-დემოკრატების მილიონიანი საეთერო დრო ნინო ბურჯანაძემ იყიდა, სამაგიეროდ, ქდმ, ალბათ, კვლავ კვალიფიკაციური სუბიექტი იქნება და 4 წლის განმავლობაში ბიუჯეტიდან გამოყოფილ ფულს მიიღებს. ეს იმ შემთხვევაში, თუ ბურჯანაძის კოალიციაში პარტიად დაფიქსირდება. რაც შეეხება დანარჩენებს, მათ უფრო მეტად აქვთ ბარიერის პრობლემა, ვიდრე ბურჯანაძეს. მართალია, ნინომ ვერ შეძლო თავის გარშემო დანარჩენი ოპოზიციის გაერთიანება, მაგრამ არჩევნებში მესამე საპატიო ადგილს დაიკავებს. ჯამში, არჩევნებში ის იმარჯვებს, ვინც ხმებს ითვლის — „ოცნება“, ნაციონალებთან ერთად, ხმებს კარგად დაითვლის და „დემოკრატიის დესერტს“ ნინოსაც გაუგზავნის, რომელიც, რა თქმა უნდა, ტკბილი არ იქნება.

ცხელი თემა

ტრანსგენდერი ზიზი საქართველოს მოქალაქეობაზე უარს ამბობს

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

ტრანსსექსუალი იზოლდა, იგივე ზიზი ამტკიცებს, რომ თბილისის ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე სასტიკად სცემეს და ნაოპერაციევ ჭრილობაზე ფეხით შედგნენ. ზიზი სასწრაფო დახმარებისა და პატრულის ეკიპაჟების მის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებაზეც საუბრობს... ამბობენ, არაერთხელ ნასამართლევი იზოლდა ციხეში მთელი რიგი მოთხოვნების ფონზე, თვითდაზიანებებს ხშირად მიმართავდა და ნაკერები ახლაც თვითონ გადაიხსნა. ზოგი იმასაც ამბობს, რამდენიმე ყოფილი პატიმარი ტრანსგენდერი სპეციალურად საჩვიდმეტმაისოდ „დაავერბოვკეს“ და პროვოკაციას მოაწყობინებენო... „ვერსია“ ტრანსგენდერ ელენეს, ცირკთან, ჩელუსიკინელების ხიდზე შეხვდა, სადაც ელე, მეგობრებთან ერთად, არაყს შეექცეოდა.

— 8 წლის მივხვდი, რომ ჩემში რაღაც ისე არ იყო... მიყვარდა დედაჩემის კაბებით სიარული, ვგიჟდებოდი მაკიაჟსა და მეზობლებისთვის „პრიჩოსკების“ გაკეთებაზე. გოგოები არასოდეს მიზიდავდა, 14 წლის ვიყავი, პირველი სექსუალური კავშირი უბნელ ბიჭთან რომ დავამყარე. მერე, ჩაცმის სტილიც შევიცვალე და ქუჩაში სიარული საშიში გახდა — მავიწროებდნენ. სრულწლოვანი გავხდი თუ არა, პასპორტი დაჩქარებული წესით ავიღე და აქაურობას სასწრაფოდ გავეცალე — თურქეთში წავედი. იქ ერთი ტიპი გავიცანი... მოკლედ, წელინადნახევარია, შეყვარებული ვარ, ერთმანეთს ტელეფონითა და სკაიპით ვეკონტაქტებით. ჩემმა რჩეულმა ისეთი მიმიღო, როგორიც ვარ. პლასტიკური ოპერაციის საშუალება არ მაქვს, მაგრამ ამის სახსრები რომც გამაჩნდეს, დედას გეფიცები, არ გავიკეთებ — ღმერთმა სხვა სხეულში გამაჩინა და ამ ჯვარს მთელი ცხოვრება ვატარებ.

— თურქეთში რას საქმიანობდი?

— რთული გამოსაცნობი არაა, რას ვაკეთებდი თურქეთში. მიუხედავად იმისა, რომ ხალიჩები არ დაუფენიათ, თავშიც არავინ მირტყამდა და საბუთების გამო პრობლემები რომ არ შემქმნოდა, საქართველოში არც დავბრუნდებოდი. აქ პატრულის გამოძახება თითქმის ყოველდღე მიწევს. თავის დაცვა სხვანაირადაც შემიძლია, მაგრამ...

— ანტიდისკრიმინაციულ კანონზეც გკითხავ...

— ამასთან დაკავშირებით ლანძღვას არ დავიწყებ და პროვოკაციულ განცხადებებს არ გავაკეთებ, ყველას თავის ცხოვრება აქვს და მოდი, ცუდად ჩვენც ნუ შეგვეხებით. შარშან, 17 მაისს არც აქციაზე ვყოფილვარ და იქ წასვლას მეგობრებსაც არ ვურჩევ იმიტომ, რომ ქრისტიანულ ქვეყანაში ვცხოვრობთ, მოდგმიდან ასეთი ხალხი ვართ და არ მინდა, თავი საფრთხეში ჩავიგდო. ისე, პატრული ყველა მოქალაქეს ერთნაირად უნდა იცავდეს ეს ვითომ კანონშიც შეიტანეს, მაგრამ ეჭვი მეპარება, ვინმემ დაგვიცვას... ყველამ თავის წარსულს მიხედოს. იმ ადამიანთა უმრავლესობა, ვინც გვაგინებს, ჩვენზე უარესი და ფარდისმიღმა ათასგვარ გარყვნილებაზე წამსვლელია. აი, მაგალითად, გუშინ მოგვადგა ერთ-ერთი ტელევიზია, მთვრალები ვიყავით, არ გვინდოდა, ასეთ მდგომარეობაში გავეშუქებინეთ და ცირკთან, ტყეში ავედით. ეს რეპორტიორი, ოღონდ სიუჟეტი გაეკეთებინა, გინებით გამოგვეკიდა. ბოლოს, ისე გავმწარდით, ბოთლები და ქვები დავუშინეთ. მერე, მძღოლი გადმოხტა და ტიპმა პირი აიმყრალა... მსგავს რამეს არ ვკადრულობ. ერთი ჩემი დაქალი, ლუბა, მთასავით ქალია, ხუთი გოგო ძლივს ვაკავებდით, მანქანისთვის უზარმაზარი ქვა რომ არ ჩაერტყა.

ამასობაში, ნასვამი ზიზი მოვარდა, გზადაგზა, ღია ჭრილობიდან საფენებს იხსნიდა, თან სასწრაფო დახმარების მიმართ პრეტენზიებს ღრიალით გამოთქვამდა:

— რესპუბლიკურ საავადმყოფოში მქონდა ოპერაცია გაკეთებული, ჭრილობა უკვე შეხორცებული იყო. გუშინ 4 პიროვნება მოვიდა, მათგან ერთ-ერთი, ჩემთან რამდენჯერმეა ნამყოფი. რაღაცაზე ამიშარდნენ და მუცელში წიხლი ჩამარტყეს. ჭრილობა გამეხსნა, გამოვიძახე პატრული და იმის ნაცვლად, დამხმარებოდა, პოლიციელები მოძალადეებთან ერთად დამცინოდნენ. სასწრაფო დახმარებაც, გამოძახებიდან ერთ საათში მოვიდა, ექიმებისგან არანაირი ყურადღება — წესიერად საფენებსაც არ მადებდნენ. თუ ასე მავიწროებენ, მაშინ გამიშვან საქართველოდან, უარს ვაცხადებ მოქალაქეობაზე!

ექსკლუზიური ფოტოები და პროვოკაცია, რომელსაც ახალაიას ბანაკი ლაშა შუშანაშვილს უწყობს

ინტერვიუ საღონიკის ციხეში მყოფი „კანონიერი ქურდის“ ქართველ ადვოკატთან

გიორგი იაშვილი

მას შემდეგ, რაც „ვერსიაში“ საბერძნეთში მცხოვრები ქართველის ინტერვიუ გამოქვეყნდა, რედაქციაში არაერთმა ადამიანმა დარეკა. შეგახსენებთ: ინკოგნიტო რესპონდენტი ელადაზე დაკავებულ დათა ახალაიასა და ე.წ. კანონიერ ქურდზე, ლაშა შუშანაშვილზე საუბრობდა და ამბობდა, რომ შუშანაშვილი ახალაიას კარგ მომავალს არ ჰპირდებოდა. ამასობაში, აღმოვაჩინეთ, რომ ლაშა შუშანაშვილის ინტერესებს ბერძენი ადვოკატის გარდა, ქართველი ადვოკატიც იცავს — ნანი ფრიდონაშვილი თავის დაცვის ქვეშ მყოფთან სალონიკის ციხეში რამდენჯერმე შეხვედრის დეტალებს იხსენებს.

— ქალბატონო ნანი, „ვერსიასთან“ ინტერვიუში ერთ-ერთმა პირმა, რომელმაც თავს შუშანაშვილის მეგობარი და ოჯახის წევრიც კი უწოდა, განაცხადა, რომ დათა ახალაიამ ხმაური სწორედ თქვენი დაცვის ქვეშ მყოფი პირის გამო ატეხა, რადგან ლიკვიდაციის შეეშინდა. ეს ინფორმაცია მართალია?

— ბოლო დროს მედიაში მართლაც გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ლაშა შუშანაშვილი კუდ-ის ყოფილ უფროსზე, დათა ახალაიაზე ანგარიშსწორებას გეგმავს. ეს ბატონი ლაშას მიმართ დაგეგმილი პროვოკაციაა. წელიწადზე მეტია, ლაშასა და მისი ძმის, კახა შუშანაშვილის დაცვაში ჩავერთე. ამ ხნის განმავლობაში, მათ მიმართ პროვოკაციების დაგეგმვის არაერთი თვალნათელი მცდელობა იყო. ეს ხორციელდებოდა, როგორც საქართველოს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების, ისე ევროპის სხვა ქვეყნების, მათ შორის საბერძნეთისა და ესპანეთის სამართალდამცავების მხრიდან. უკანასკნელ დღეებში ინტერნეტსაიტებზე გამოქვეყნებული ინკოგნიტო რესპონდენტის მიერ გავრცელებული ინფორმაციები, რომელიც თავს ლაშა შუშანაშვილთან დაახლოებულ პირად ასაღებს, უნიჭოდ მოფიქრებული და მიზანმიმართული პროვოკაციაა.

— ვისი მხრიდან?

— მაქვს ეჭვი და ვფიქრობ, აბსოლუტურად ლოგიკური, რომ ეს ინკოგნიტო რესპონდენტი სწორედ იმ გარემოცვიდანაა, რომელიც დათა ახალაიასთან დაახლოებული პირებისაგან შედგება და რომლებიც დღესაც საბერძნეთში იმყოფებიან. დამეთანხმებით, დღევანდელ რეალობაში კომუნიკაცია იძლევა შესაძლებლობას, ვერასოდეს დავადგინოთ, რეალურად, ვისთან გვქონდა ვირტუალური კონტაქტი, თუ კონკრეტული სახის ექსპერტიზის დასკვნები არ გახდება ხელმისაწვდომი. ამავე ლოგიკით არც იმას გამოვრიცხავ, რომ ამ ინფორმაციის წყარო შუშანაშვილის რომელიმე არაკეთილმოსურნეც იყოს.

— ამბობთ, ეს პირველი პროვოკაცია არააო. რას გულისხმობთ?

— ალბათ გახსოვთ, რამდენიმე თვის წინ, საბერძნეთში, ახალიებთან დაახლოებული პირი, დავით ჩხიტუნიძე დააკავეს. ჩხიტუნიძის ადვოკატებმა მაშინ განცხადება გააკეთეს, რომ ათენის ციხეში იგი უმოწყალოდ სცემეს და ბრძანებისგამცემად ისევ ლაშა დაასახელეს, თან ჯიუტად მიმტკიცებდნენ, ლაშა ათენის ციხეში იმყოფებაო. საბოლოოდ, დოკუმენტურად დავამტკიცე, რომ ლაშა სალონიკის ციხეშია და მომხდართან კავშირი არ აქვს. ამ ამბიდან რამდენიმე თვეში, სალონიკში, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფ შუშანაშვილს შევხვდი და ყველაფერი მოვუყევი. არ გაინტერესებთ, რა მკითხა? — დავით ჩხიტუნიძე ვინ არისო?! გაგონილიც არ ჰქონდა იმ ადამიანის სახელი და გვარი, ვის ცემის ბრძამებაც თურმე გასცა.

— სხვათა შორის, შუშანაშვილის სახელი, როგორც ვიცი, კიდევ ერთ გახმაურებულ საქმეს უკავშირდება...

— მართალია... ალბათ, გახსოვთ, რამდენიმე თვის წინ, სადახლოს გამშვებ პუნქტზე ორი ადამიანი მოკლეს. 6 პირს ბრალი წაუყენეს და წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. გლდანის 8 დაწესებულების ნაცვლად, ექვსივე ბრალდებული 6 დაწესებულების სამარტოვე საკნებში მოათავსეს. სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და 6 დაწესებულების ხელმძღვანელობის ასეთი გადაწყვეტილების არგუმენტი იცით, რა არის?! — თურმე ლაშა შუშანაშვილმა ბრძანება გასცა, რომ სნაიპერებმა ციხის მიმდებარე ტერიტორიიდან ამ ბრალდებულების ლიკვიდაცია მოახდინონ. ამას რომ თანამდებობის პირებისგან მოისმენ, შეიძლება, მათ ინტელექტუალურ მონაცემებში ეჭვი არ შეგეპაროს?! ამას რა ჰქვია?! — სიბეცე, უგნურება და სიბრიყვე. რა შუაშია შუშანაშვილი?! არ ვიცი, ვის, რატომ, რისთვის სჭირდება ამ ადამიანზე ასეთი გამოგონილი ისტორიებისა და ლეგენდების შეთხზვა. მან თუ რამე დააშავა, მოიპოვე მტკიცებულებები და დაუმტკიცე დანაშაული, მაგრამ წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა გადაწყვიტეს, ფიზიკურად და მორალურად გაუსწორდნენ, რასაც კანონსა და მართლმსაჯულებასთან საერთო არაფერი აქვს.

— ფიზიკურ ანგარიშსწორებაში რას გულისხმობთ?

— ლაშას ლიკვიდაციას თავად გეგმავდნენ და ამის მცდელობაც არაერთხელ ჰქონდათ. 2003 წელს ლაშამ საქართველო დატოვა და მას შემდეგ ერთხელაც არ გადმოუკვეთავს საქართველოს საზღვარი. ერთი წლით ადრე, 2002 წელს კი სხვა ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო. ქვეყნიდან წასვლის მთავარი მიზეზი ის გახდა, რომ ლაშასა და მისი ოჯახის წევრებზე თავდასხმა განხორციელდა — ავტომანქანის აფეთქება სცადეს. მიუხედავად იმისა, რომ განცხადებით მიმართეს საგამოძიებო ორგანოებს, დღემდე ეს საქმე გამოძიებული არ არის და ალბათ, მტვრის დიდი ფენა ადევს.

— თავის დროზე შუშანაშვილის სახელს ოპოზიციის აქციებსაც უკავშირებდნენ...

— მართალია, ეს 2009-2010 წლებში იყო. მაშინდელი ოპოზიციის ბევრი წარმომადგენელი დღეს ხელისუფლებაშია. იმ დროს მედიაში აქტიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია, ოპოზიციას ე.წ. ქურდული სამყაროს წევრები აფინანსებენო და არარსებული ისტორიებს თხზავდნენ, თუ როგორ ხვდებოდნენ და აფინანსებდნენ რუდიკო გოგუაძე და ლაშა შუშანაშვილი მაშინდელ ოპოზიციას. ამის თაობაზე, ხელისუფლების წარმომადგენლების მიწოდებული ინფორმაციები, ავსტრიულ და გერმანულ გამოცემებშიც იბეჭდებოდა. თავის დროზე შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა, შოთა უტიაშვილმა განაცხადა, ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და გამოძიება მიმდინარეობსო. უცხოურმა პრესამ მაშინვე აიტაცა და გაავრცელა ეს განცხადება. 2013 წელს, როგორც შუშანაშვილის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა, განცხადებით მივმართე შინაგან საქმეთა სამინისტროს. ვითხოვდი აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაციას გამოძიების მიმდინარეობისა და დანაშაულის კვალიფიკაციის შესახებ, პასუხად მივიღე, აღნიშნულ ფაქტზე არც საქმე აღძრულა და არც გამოძიება მიმდინარეობსო. რა გამოდის?! — უტიაშვილმა, უბრალოდ, ტყუილი თქვა და ამ ტყუილმა ევროპა მოიარა. საკუთარი ქვეყანა თუ არ გძულს და გეზიზღება, მთელი მსოფლიოს გასაგონად, საკუთარი ქვეყნის დისკრედიტაციითა და ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვით რატომ უნდა იყო დაინტერესებული?! უტიაშვილს რა უნდა მოსთხოვო, როცა ქვეყნის პირველი პირი, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი 2012 წელს, არჩევნების წინ, თითქმის ყველა ტელევიზიით გამოდიოდა და ერს არწმუნებდა, შუშანაშვილს უკვე თვითმფრინავის ბილეთი ჯიბეში უდევს და 3 ოქტომბერს საქართველოში ჩამოდისო. მან ძალიან კარგად იცოდა, რომ ლაშა იმ დროს სალონიკის ციხეში იმყოფებოდა.

— ბერძნულ მხარესთან აქტიური კავშირი გაქვთ და დათა ახალაიაზე არაფერი იცით?

— ბერძნული გამოცემა „კათიმერონისა“ და ჟურნალისტის — ტასოს ტელოღლუს ინფორმაციით, ახალაიას მიზანმიმართულად შეცდომაში შეჰყავდა საბერძნეთის სამართალდამცავები, როდესაც სხვა ბევრ ტყუილსა და დღევანდელი ხელისუფლების დადანაშაულებასთან ერთად, აცხადებდა, რომ მისი ძმა, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩანა ახალაია იტალიაში იმყოფებოდა და მასთან მიემგზავრებოდა მაშინ, როდესაც მისი ძმა ბაჩანა ახალაია მსჯავრდებული და ე.წ. მატროსოვის ციხის პატიმარია. ამავე გამოცემის თანახმად, დათა ახალაია 2014 წლის 26 მარტს პატრასში დააკავეს და პატრასის სასამართლომ დანაშაულისათვის, რაც ყალბი დოკუმენტის გამოყენებაში გამოიხატა, მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 40 დღით. ბერძნული მედია აქტიურად ახსენებდა ვინმე აკოს, რომელიც ჩემი, აზრით აკაკი მინაშვილია. უფროსი ახალიაც იქ არის და, თურმე, დათას მხარდამჭერი ქართული დელეგაცია გაოცებულა, ბერძნებმა მისი ნახვის უფლება რომ არ მისცეს. აქ ხომ ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ ბაჩოსთან ციხეში და იქაც ეგონათ, რომ უნდა შეეშვათ. ყველაფერი ეს, ცოტა არ იყოს, ღიმილისმომგვრელია. როგორც ჩანს, როლანდ ახალაიას საბერძნეთი სამეგრელოში აერია, სადაც თავის დროზე ყველაფერს თავად წყვეტდა და აგვარებდა.

— შუშანაშვილს რამდენი აქვს მისჯილი?

— საქართველოში საქმის განხილვა განუსაზღვრელი ვადითაა გადადებული. საბერძნეთში კი, ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე, პირველმა ინსტანციამ 14 წელი მიუსაჯა. ბერძენი ადვოკატები ამბობენ, საბერძნეთის მართლმსაჯულების ისტორიის განმავლობაში, ასეთი უკანონო განაჩენის მომსწრე არავინ ყოფილაო. ცხრა თვის შემდეგ, როგორც იქნა, სასამართლომ დაცვას განაჩენის სრული ვერსია გადასცა. შემდგომ ინსტანციას ბერძენი ადვოკატები იმედიანად უყურებენ.

ვერსიანიუსი

უკრაინის პატრიარქი: „რუსეთის მიზანი უკრაინის დაშლაა“

უკრაინის პატრიარქის თქმით, უკრაინაში განვითარებული ტრაგიკულმა მოვლენები არ შეიძლება, ვინმე გულგრილი დატოვოს. ფილარეტის თქმით, „რუსეთი გამოუცხადებელ ომს აწარმოებს და მისი მიზანი უკრაინის დაშლაა“.

„2 მაისს ოდესაში ტრაგედია მოხდა, შეიარაღებული პირები თავს დაესხნენ უკრაინის ერთიანობის მომხრეთა მსვლელობას, მოკლეს რამდენიმე მონაწილე, რითაც დაპირისპირების პროვოცირება მოახდინეს. შეტაკების შედეგად პროფკავშირების სახლში ხანძარი გაჩნდა, სადაც ათეულობით ადამიანი დაიღუპა. იქამდე ანტიუკრაინელმა აქტივისტებმა დონეცკში თავდასხმა განახორციელეს უკრაინის მომხრეთა მიმართ, რამდენიმე კვირაა სლავიანსკი, ფაქტობრივად, მიტაცებულია ტერორისტების მიერ, აჰყავთ ტყვეები, აწამებენ და მხეცურად ხოცავენ ადამიანებს. შეიარაღებულმა პირებმა დაიკავეს რიგი სახელმწიფო შენობები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები დონეცკსა და ლუგანსკის ოლქებში“, — ნათქვამია უკრაინის პატრიარქის მიმართვაში.

როგორც ფილარეტი აღნიშნავს, ყველა ადამიანს აქვს უფლება, მშვიდობიანად, იარაღის გარეშე გამოხატოს თავის პოზიცია, მაგრამ კონსტიტუციური წყობის, ერთიანობის, ტერიტორიული მთლიანობისა და უკრაინის საზღვრების ხელშეუხებლობის ხელყოფა დანაშაულია, რომელიც უნდა შეჩერდეს და დაისაჯოს კანონის შესაბამისად.

„ამ ყველაფრის უკან რუსეთის სპეცსამსახურები დგას, რაზეც პასუხისმგებლობა რუსეთის ხელისუფლებასა და, პირადად, პრეზიდენტს ეკისრება. მათი მიზანი უკრაინის სახელმწიფოს დაშლაა, რათა ღიად შემოიჭრას უკრაინის ტერიტორიაზე და ჩვენი მიწების ოკუპაცია მოახდინოს. რუსეთის ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი რუსული მედია აგრძელებს სიცრუის გავრცელებას, რაც გამოუცხადებელი ომის შემადგენელი ნაწილია. ამ კამპანიის მონაწილეებმა უნდა იცოდნენ, რომ შეგნებული ტყუილი სატანის მსახურებაა“, — აცხადებს უკრაინის პატრიარქი.

„ეკლესიის სახელით კიდევ ერთხელ მოვუწოდებ რუსეთის ხელისუფლებას, მის დაქვემდებარებულ მომხრეებს უკრაინაში, გონს მოეგონ, შეჩერდნენ, არ მოახდინონ სისხლისღვრის პროვოცირება, არ დაიმსახურონ ღვთის რისხვა. თითოეული ადამიანი, რომელიც უკრაინაში სამოქალაქო დაპირისპირებისა და სახელმწიფო ქონების იარაღით მიტაცების ბრძანებას გასცემს, ვინც აფინანსებს ამ ქმედებებს, ვინც ხელს უწყობს და მონაწილეობს მასში, კაენის ცოდვას სჩადის, რაზეც ადრე თუ გვიან, ღმერთის წინაშე, აუცილებლად მოუწევს პასუხის გაცემა“, — აცხადებს უკრაინის პატრიარქი.

მისივე თქმით, კონსტიტუციური წესრიგი, ტერიტორიული მთლიანობა, უკრაინის საზღვრების ხელშეუხებლობა არის აქსიომა, რომლის ეჭვქვეშ დაყენების უფლება არავის აქვს.

„პია.გე“

300 ქართველი სამხედრო ავღანეთიდან დაბრუნდა

თავდაცვის სამინისტროს ცნობით, III ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის სამხედროებმა ავღანეთში შვიდი თვის განმავლობაში, ISAF-ის მისიის ფარგლებში, დაკისრებული მოვალეობა წარმატებით შეასრულეს.

სამშვიდობოებს ალექსეევკის აეროპორტში გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი რომან ჯოხაძე დახვდა. სამხედროების დასახვედრად აეროპორტში იმყოფებოდნენ ასევე, სახმელეთო ძალების დასავლეთ ოპერატიული დაჯგუფების სარდალი, პოლკოვნიკი ბესიკ გოფოძე და III ქვეითი ბრიგადის მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი მალხაზ მერლანი.

ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში ქართველმა სამხედრო მოსამსახურეებმა, აშშ-ს საზღვაო ქვეითების მხარდაჭერით, სრული სპექტრის ოპერაციები განახორციელეს. მათი მთავარი ამოცანა პროვინციის სამოქმედო არეალში მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით პატრულირება და მოძრავი საკონტროლო საგუშაგოების მოწყობა იყო.

31-ე ბატალიონის საქართველოში ჩამოსვლა ეტაპობრივად მოხდება. ბატალიონი მიმდინარე თვის ბოლომდე სრულად დაბრუნდება საქართველოში. ისინი ავღანეთში II ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონის სამხედროებმა ჩაანაცვლეს.

„ინტერპრესნიუსი“



აპრილში ინფლაციის დონე 0.3%-ია

2014 წლის აპრილში, წინა თვესთან შედარებით, საქართველოში ინფლაციის დონე 0.3%-ზე დაფიქსირდა. მოცემულ პერიოდში, ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: აპრილში ფასების 0.7%-იანი მატება დაფიქსირდა, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0.23%-ით აისახა. ბოსტნეულისა და ბაღჩეულის ქვეჯგუფზე ფასი 6.2%-ით, ხოლო ხილისა და ყურძნის ქვეჯგუფზე — 3.6%-ით გაიზარდა. რძის, ყველისა და კვერცხის ქვეჯგუფზე კი პირიქით, ფასი 1.3%-ით შემცირდა.

საცხოვრებელი, წყალი, ელექტროენერგია, აირი: ამ ჯგუფზე ფასი 0.4%-ით გაიზარდა. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა აპრილის ინფლაციაში 0.03% შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი ძირითადად განაპირობა იმან, რომ საცხოვრებლის მოვლისა და შეკეთების ქვეჯგუფზე ფაზი 2.1%-ით გაიზარდა.

სადაზღვევო ინდუსტრია წაგებაზე მუშაობს

სადაზღვევო ინდუსტრიამ 2013 წელიც ზარალით დაასრულა. მართალია, ზარალის მოცულობა 3 000 000 ლარს აჭარბებს, მაგრამ 2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნადაა შემცირებული, როდესაც სექტორის ზარალმა 7 000 000 ლარს გადააჭარბა.

დაზღვევის ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახურის მონაცემებით, 2012 წელს, სადაზღვევო საქმიანობიდან მიღებულმა მოგებამ 60 000 000 ლარს გადააჭარბა. 11 000 000 ლარზე მეტი, ამ ინდუსტრიამ სიცოცხლის დაზღვევიდან მიიღო, 49 000 000 ლარი — არასიცოცხლის დაზღვევაზე მოდის, ხოლო საპენსიო საქმიანობიდან მიღებულმა მოგებამ — 83 565 ლარი შეადგინა. გასული წლის განმავლობაში, სადაზღვევო სექტორში ხელფასის სახით, 40 000 000 ლარი გაიცა მოგების გადასახადის სახით, სახელმწიფო ბიუჯეტში — 6 000 000 ლარი შევიდა, ადმინისტრაციულმა ხარჯმა 20 000 000 ლარი შეადგინა, სხვა ხარჯები კი 10 000 000 ლარით განისაზღვრა.

„ბი-პი-აი“

წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის ტაძართან კაზინოს გახსნა იგეგმება?

აურზაური „მიხაილოვის საავადმყოფოს“ ირგვლივ — რა გადასცა პრემიერმა საპატრიარქოს 1 ლარად

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 აპრილის, №726-ე განკარგულებით, საპატრიარქოს საკუთრებაში გადაეცა თბილისში, აღმაშენებლის გამზირის №60-ში მდებარე 472 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები (საერთო ფართი 749.07 კვ.მ.). უძრავი ქონება, რომელიც პრემიერ-მინისტრის განკარგულებით, მთავრობამ საპატრიარქოს სიმბოლურ ფასად — 1 ლარად გადასცა, „მიხაილოვის საავადმყოფოს“ ყოფილი ტერიტორიიდან გამიჯნულია, უფრო ზუსტად, ამ შენობაში ადრე პათანატომიის კათედრა ფუნქციონირებდა... მოკლედ, გავრცელებული ინფორმაცია, რომ ღარიბაშვილმა საქართველოს საპატრიარქოს „მიხაილოვის საავადმყოფოს“ ყოფილი შენობა-ნაგებობები გადასცა, „ვერსიას“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში არ დაუდასტურეს. წესით, საავადმყოფოს ტერიტორიიდან დიდი მანძილით დაშორებული შენობა, რომელიც წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძრის საკურთხეველზეა მიშენებული, თავიდანვე ტაძრის საკუთრებაში უნდა ყოფილიყო.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) „საქართველოს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ განცხადებით, წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძარი შპს „ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკურ საავადმყოფოსთან“ („მიხაილოვის საავადმყოფო“) ერთად, მე-19 საუკუნის ბოლოს, 1895 წელს აშენდა, რომელიც კომუნისტური რეჟიმის დროს პათანატომიის კათედრის აუდიტორიად გადაკეთდა, ტაძრის საკურთხეველს კი ახალი შენობა მიაშენეს, სადაც პროზექტურა განათავსეს.

საპატრიარქოს დაგეგმილი აქვს, მთავრობის განკარგულებით გადაცემულ შენობაში საკვირაო სკოლა, ხატწერისა და გალობის სახელოსნოები განათავსოს.

მე-20 საუკუნის დასაწყისში, წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძარში ძმები კარბელაშვილები მოღვაწეობდნენ. ერთ-ერთ ძმას, ვასილ კარბელაშვილს, ბავშვებისთვის დაწყებითი სკოლა ჰქონდა გახსნილი. აქედან გამომდინარე, საქართველოს საპატრიარქო გეგმავს, ტაძარი კომუნისტური რეჟიმის დროს ნანამები დიდი საეკლესიო მოღვაწეების — ძმები კარბელაშვილების სახელზე გახსნას.

წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი **ალექსანდრე გალდავა** „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ მთავრობის მიერ ახლადგადაცემულ შენობაში, საკვირაო სკოლის გარდა, უფასო სასადილოს გაფართოებასა და ახალგაზრდული ცენტრის დაარსებასაც გეგმავს:

„ეს ტაძარი „მიხაილოვის საავადმყოფოსთან“ ერთად აშენდა, შენობას კი, რომელიც პრემიერ-მინისტრის განკარგულებით გადმოგვეცა, იმ ეპოქასთან არაფერი აკავშირებს. მე-19 საუკუნის ბოლოს, საავადმყოფოცა და ტაძარიც მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა ააშენა, ეს შენობა კი, მოგვიანებით, მე-20 საუკუნის 40-იან წლებში საქართველოში პათანატომიის ფუძემდებელმა, ვლადიმერ ჟღენტმა ააგო. იმის გამო, რომ კომუნისტური რეჟიმის დროს ეკლესია გაუქმებული იყო, ვლადიმერ ჟღენტმა ტაძრის ფართი გამოიყენა, სადაც კათედრა-აუდიტორია განათავსა და სტუდენტებს ლექციებს უტარებდა. ეს შენობა საქართველოს პრემიერ-მინისტრის განკარგულებით იმიტომ გადმოგვეცა, რომ „მიხაილოვის საავადმყოფოს“ ყოფილი შენობა-ნაგებობები, როგორც იცით, იყიდება. მართალია, შენობა საავადმყოფოს ტერიტორიისგან გამიჯნულია, მაგრამ, თუ „მიხაილოვის საავადმყოფოს“ ძველი შენობები გაიყიდება, ინვესტორი ამასაც იყიდის. დანგრევით კი ვერ დაანგრევს, რადგან ტაძრის საკურთხეველი ჩამოიშლება. რაც მთავარია, ამ ფართის ნაწილი აქამდეც ჩვენს საკუთრებაში იყო. 1996 წელს, როცა წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძარი აღვადგინეთ, სახელმწიფომ ამ შენობაში სამი ოთახი გადმოგვცა, რადგან ეკლესიას სატრაპეზო და სამღვდელო ოთახი სჭირდებოდა“.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც საქართველოს მთავრობის განკარგულებით აღნიშნული შენობა საპატრიარქოს გადაეცა, ისაა, რომ წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის ტაძარში დიდი ხანია საქველმოქმედო საქმიანობა ხორციელდება. დეკანოზმა ალექსანდრე გალდავამ „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ საქველმოქმედო საქმიანობის გაფართოებას აპირებენ და აქედან გამომდინარე, პრემიერ-მინისტრმა გადაწყვიტა, ეს შენობა საპატრიარქოსთვის გადაეცა:

„ჩვენთან უფასო სასადილო ფუნქციონირებს, სადაც 150 ადამიანი სადილობს. აქვეა უფასო სასწავლებელი, საკვირაო სკოლა, სადაც ბავშვებს ვამეცადინებთ, გვაქვს ხატწერისა და საგალობლების შემსწავლელი სკოლა. ფართის გადმოცემის შემთხვევაში, ამ საქმიანობას გავაფართოებთ და მოხუცებს, რომლებსაც გარკვეული პრობლემები აქვთ, უფასო სადილის გარდა, სამედიცინო დახმარებასაც აღმოვუჩენთ. ვაპირებთ, ამავე შენობაში ახალგაზრდული ცენტრიც გავხსნათ, სადაც მოსწავლეები მხოლოდ სასულიერო კი არა, საერო განათლებასაც მიიღებენ. პირადად მე, საპატრიარქოსთან არსებულ ანტინარკოტიკულ ცენტრშიც ვარ გაერთიანებული და ნარკოდამოკიდებულებთან ვმუშაობთ, ამიერიდან, ამ საქმიანობას უკვე ამ შენობაშიც განვაგრძობთ. ყველაფერი ეს დეტალურად გვქონდა ჩამოთვლილი წერილში, რომლითაც პრემიერ-მინისტრს მივმართეთ, სახელმწიფო ადეკვატურად მოიქცა და შენობა გადმოგვცა“.

საპატრიარქოსთვის გადაცემულ შენობას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მხოლოდ იმიტომ აქვს, რომ ტაძრის საკურთხევლის კედელზეა მიშენებული. დეკანოზმა ალექსანდრე გალდავამ „ვერსიას“ განუმარტა, რომ „მიხაილოვის საავადმყოფო“ და წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძარი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებია, რადგან 1895 წელს აშენდა. მთავრობის დავალებით, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს საპატრიარქოს შორის გაფორმდება ხელშეკრულება, რის საფუძველზეც, საპატრიარქოს ძეგლის მოვლა-პატრონობის ვალდებულება დაეკისრება. თავის მხრივ, საპატრიარქო კულტურის სამინისტროსთან ითანამშრომლებს და ახლადგადაცემული შენობის სარესტავრაციო სამუშაოებს მასთან შეთანხმებით განახორციელებს.

სამიოდე წლის წინ, „მიხაილოვის საავადმყოფო“, უფრო ზუსტად კი, წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილური კლინიკური საავადმყოფო დიღომში, ლუბლიანას ქუჩაზე გადავიდა. აღმაშენებლის №60-ში მდებარე შენობა დაკეტილია და ამჟამად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანსზე ირიცხება. სამი წელია ეკონომიკის სამინისტროს „მიხაილოვის საავადმყოფოს“ ყოფილი შენობა საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში აქვს შეტანილი, მაგრამ მყიდველი ანუ რეალური ინვესტორი არ ჩანს. წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილური კლინიკური საავადმყოფოს დირექტორმა, ბეჟან მაისურაძემ „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ „მიხაილოვის საავადმყოფოს“ ძველი შენობის ყიდვას ხან ჩინელი, ხან არაბი და ხანაც ბერძენი ინვესტორები ცდილობდნენ, მაგრამ უშედეგოდ, თუმცა საავადმყოფოს ვერ ან არგაყიდვის მიზეზი ბეჟან მაისურაძემ არ იცის.

წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა ალექსანდრე გალდავამ „ვერსიას“ განუცხადა, რომ სამიოდე წლის წინ, „მიხაილოვის საავადმყოფოს“ ძველ შენობას ინვესტორი მართლაც გამოუჩნდა, რომელსაც ამ ტერიტორიაზე კაზინოს გახსნა სურდა:

„ნებისმიერი ინვესტორი, რომელიც ამ შენობას იყიდის, ყოველთვის სათავისოდ მოიხმარს და იმას გააკეთებს, რაც მისთვის მომგებიანი იქნება. დღეს სათამაშო ბიზნესი, რესტორანი და სასტუმროა მომგებიანი, მაგრამ შეუძლებელია, ეკლესიასთან ახლოს კაზინო გახსნა. როგორც ჩანს, სახელმწიფომ ყველაფერი ეს გაითვალისწინა და იმის გამო, რომ საავადმყოფოს ყოფილი შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაშია შესული, ეკონომიკის სამინისტროს მოთხოვნაა, საავადმყოფოს ფასადი არ შეიცვალოს. შესაძლოა, ინვესტორი სწორედ ამის გამო ვერ ჩნდება, რადგან კარგად იცის, ფასადს ხელს ვერ მოკიდებს, არადა, ყველას მისი დანგრევა უნდა. გარდა ამისა, საავადმყოფოს კედლებში რესტორნის განთავსებაც არავის სურს, რადგან კარგად იციან, აქ მოსალხენად გული არავის მიუვა. ვფიქრობ, ეკლესიასთან ახლოს ისეთი არაფერი განთავსდება, რაც ტაძრის ცხოვრების რიტმს დაარღვევს, მაგრამ იმის იმედიც მაქვს, რომ ხელისუფლება შანგრილას კვალს არ განაგრძობს“.

მედიაციის ინსტიტუტი ქართულ მართლმსაჯულებაში და მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში

მედიაცია კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთი მეთოდია, რომლის დროსაც მიუკერძოებელი მხარე - მედიატორი მოდავე მხარეებს ურთიერთმისაღები შეთანხმების მიღწევაში ეხმარება. მედიაცია განსაკუთრებით ეფექტურია იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს რაიმე მიზეზით არ სურთ საკითხის სასამართლოში განხილვა. კერძოდ, თუ საკითხი იწელება დროში, გადაწყვეტილება შეიძლება მოულოდნელი აღმოჩნდეს ორივე მხარისათვის, ხარჯები შეიძლება გაიზარდოს და ა.შ. ამასთან, თუ მხარეები არ არიან დაინტერესებული სახალხოდ საქმის გარჩევით და მათთვის მნიშვნელოვანია კონფიდენციალურობა.

მედიატორი ნეიტრალური პიროვნება უნდა იყოს, რომელიც საქმეში მონაწილე ორივე მხარეს ზუსტად აუხსნის საქმის ვითარებას და შეეცდება, მხარეები მოარიგოს.

მედიატორის დახმარებით მხარეები თავად მიიღებენ გადაწყვეტილებას საქმესთან დაკავშირებით. მედიაციის ინსტიტუტის მთავარი პრიორიტეტია მხარეების ჩართულობა თავიანთი საქმის მოგვარების პროცესში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით საქართველოში შეიქმნა მედიაციის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა. სამოქალაქო პროცესში შეტანილი ცვლილებების მიხედვით ქართულ მართლმსაჯულებაში სავალდებულო მედიაცია ამოქმედდა. ეს იმას ნიშნავს, რომ მხარეებს რომც არ ჰქონდეთ მედიაციაზე საქმის გადაცემის სურვილი, მოსამართლეს შეუძლია კონკრეტული საქმეები, როგორიცაა: საოჯახო, მემკვიდრეობითი და სამეზობლო დავები გადააგზავნოს სავალდებულო მედიაციაზე. თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილებას - დავა სასამართლომ განიხილოს თუ მედიატორმა, მაინც მხარეები იღებენ. აღსანიშნავია, რომ ყველა დანარჩენი კატეგორიის სამოქალაქო დავაზე მოდავე მხარეებს ნებაყოფლობით შეუძლიათ საქმე მედიაციაზე გადაიტანონ.

საპილოტე პროგრამის ფარგლებში საქართველოში მედიაცია ჯერჯერობით მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში ამოქმედდა. დღეისთვის მედიაციას უკვე გადაეცა ექვსი საქმე, აქედან ოთხი დასრულდა ხოლო 2 საქმეზე მუშაობა მიმდინარეობს.

„მედიაციის ინსტიტუტის მთავარი პრიორიტეტია მხარეების ჩართულობა თავიანთი საქმის მოგვარების პროცესში. მედიაციის ინსტიტუტი მოქმედებს ყველა განვითარებულ ქვეყანაში და საკმაოდ წარმატებულია. საქმე ისაა, რომ დავების გადაწყვეტის ერთადერთი დაწესებულება სასამართლო არ არის. არსებობს დავის მოგვარების სხვა ალტერნატიული საშუალებები, მაგალითად, არბიტრაჟი, სადაც დავის გადაწყვეტაშიც მხარეები თავად არიან ჩართული. მოდავე მხარეებს შეუძლიათ გადაწყვიტონ რომელმა არბიტრაჟმა და კონკრეტულად რომელმა არბიტრმა განიხილოს მათი დავა, შეუძლიათ მიაღწიონ შეთანხმებას რომელი სამართალი იყოს გამოყენებული დავის შემთხვევაში და ა.შ. ანუ, არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვისას მხარეები კონფლიქტის მოგვარებაში ირიბად მაინც არიან ჩართული. თუმცა, არბიტრაჟიც სასამართლოს მსგავსად იღებს გადაწყვეტილებას, რაც მხარეებისთვის ასევე სავალდებულოა შესასრულებლად.

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზა მედიაციაა. არბიტრაჟსა და მედიაციას შორის ის განსხვავებაა, რომ მედიაციის დროს პროცესში მხარეები მთლიანად არიან ჩართული, ანუ არსებულ კონფლიქტს დაპირისპირებული მხარეები თავად აგვარებენ. საქმე ისაა, რომ ხშირად სიტუაციას ორივე მხარე სუბიქეტურად აღიქვამს. მაგალითისთვის გეტყვით, ჩატარდა კვლევა, რომლის დროსაც ერთ ქუჩაზე გაატარეს სამი სხვადასხვა პროფესიის ადამიანი, რომელთაც შემდეგ გამოკითხეს ქუჩის აღწერილობა და აღმოჩნდა, რომ სამივემ სხვადასხვაგვარად აღიქვა და შესაბამისად, დაახასიათა ქუჩა. მსგავსი სიტუაციაა მოდავე მხარეების შემთხვევაშიც, ისინი არსებულ პრობლემას საკუთარი გადმოსახედიდან უყურებენ. ამიტომაც, მედიაციის ფუნქციაა, მხარეებს არსებული პრობლემა სწორად, ყველა მხრიდან დაანახონ, რაც მათ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება. მედიატორმა ხელი უნდა შეუწყოს მხარეებს მივიდნენ ლოგიკურ შედეგამდე, უნდა დაეხმაროს მოდავეებს კონფლიქტი თავად მოაგვარონ, თავად ჩაერთონ მის მოწესრიგებაში და არა სხვა, როგორც ეს უმეტეს შემთხვევაში ხდებოდა.

ადამიანები კონფლიქტის შემთხვევაში უნდა დასხდნენ და დაილაპარაკონ, სასამართლოს ჩარევის გარეშე ერთმანეთთან გაარკვიონ ურთიერთობები და თუ კონფლიქტის მოგვარების რესურსი არ აღმოაჩნდებათ, შემდეგ მიმართონ სასამართლოს. ნებისმიერ ადამიანშია დავის მოგვარების რესურსი და მედიაციის არსიც ამაშია, რომ ადამიანებმა მათში არსებული რესურსი გამოიყენონ სათავისოდ, რაც კონფლიქტის მოგვარების ყველაზე ეფექტური გზაა.

მედიატორის ფუნქცია არ არის სამართლებრივად გადაწყვიტოს დავა, ის ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნებას უნდა ფლობდეს. მედიატორმა კარგად უნდა დაანახოს მოდავეებს კონფლიქტის არსი, გაარკვიოს ისინი საკუთარ პრობლემებში და გამოკვეთოს მათი ინტერესები. მედიაციის პრაქტიკაში გავრცელებული მაგალითია „ორი დის“ კონფლიქტი. დები დავობენ ფორთოხლის გამო და მედიაციის დროს გაირკვევა, რომ ერთ დას შიგთავსი უნდა წვენისთვის, მეორე დას კი ქერქი ნამცხვრის დასამზადებლად. აი, ესაა მედიაცის დანიშნულება - მედიატორმა უნდა გამოკვეთოს მოდავეთა ინტერესები და მათი სურვილის შესაბამის გონივრულ შედეგამდე მიიყვანოს ისინი“, - აცხადებს თბილისის საapელაციო სასამართლოს მოსამართლე **ლაშა კალანდაძე**, რომელიც მედიაციის კანონის ერთ-ერთი თანაავტორია და ამჟამად, თავადაც გახლავთ მედიატორი.

ქართულ სასამართლო სისტემაში ახალი ინსტიტუტი – სასამართლო მედიაცია ამოქმედდა. ისეთი კატეგორიის საქმეები, როგორიცაა საოჯახო, სამეზობლო, მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების გარკვეული ნაწილი და სხვა სამოქალაქო საქმეების კატეგორია, სადაც მხარეებს შორის მორიგების ალბათობა არსებობს, გადაეცემა მედიატორს.

მედიატორი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება, გავლილი უნდა ჰქონდეს მედიატორთა სასწავლო პროგრამა, არ უნდა იყოს ნასამართლევი და რაც მთავარია, უნდა იყოს კომუნიკაბელური და ფლობდეს ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნებას. ექსპერტთა აზრით, მედიატორი, რომელსაც აქვს იურიდიული განათლება, ან ფსიქოლოგია, საკმაოდ წარმატებულია მედიაციისას.

დღეისთვის საქართველოში 16 სასამართლო მედიატორია. მათ ტრენინგები ჩაუტარეს ამ დარგში მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ინგლისური ორგანიზაციის (CEDR - დავების ეფექტური გადაწყვეტის ცენტრი, რომლის ოფისიც ლონდონშია) კვალიფიციურმა ექსპერტებმა.

მაღალი კლასის ინგლისელ სპეციალისტთა საქართველოში ჩამოსვლა შესაძლებელი გახდა სასამართლო ხელისუფლების, USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის (JILEP) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ)-ის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე.

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ბრიტანული კომპანიის სპეციალისტებმა მეორე ეტაპზე გადასულ კანდიდატებს სწავლება ორ ეტაპად ჩაუტარეს და ინდივიდუალურ რეჟიმში შეასწავლეს მედიატორის პროფესია.

ტრენინგპროგრამის წარმატებით გავლის შემდეგ შერჩეულ 16 ქართველ მედიატორს კომპანია სერთიფიკატებს გადასცემს, რომელიც მსოფლიოს 50-მდე ქვეყანაშია აღიარებული.

მედიაციისას მიღებულ შედეგს სამართლებრივად სასამართლო ადასტურებს. თუ მიღწეულ შეთანხმებას რომელიმე მხარე არ შეასრულებს, მაშინ სასამართლო იღებს განჩინებას და მედიაციისას მიღებული გადაწყვეტილება იძულებით აღსრულებას გადაეცემა, თუმცა, არსებული უცხოური პრაქტიკით, მედიაციისას ასეთი შემთხვევები ძალზე ცოტაა.

სავალდებულო სასამართლო მედიაცია თანხებთან არ არის დაკავშირებული, მედიატორები მხარეებს სრულიად უსასყიდლოდ დაეხმარებიან კონფლიქტის მოგვარებაში.

აღსანიშნავია, რომ თუ სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეს სახელმწიფო ბაჟის - 3 პროცენტის გადახდა უწევს, საქმის მედიატორისათვის გადაცემის შემთხვევაში ბაჟის ოდენობა - 1 პროცენტია. მედიაციის პროცესში მხარეთა მიერ ურთიერთშეთახმების მიღწევის შემთხვევაში კი, 1 პროცენტიდან 70 პროცენტი მხარეს უბრუნდება. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავას განიხილავს სასამართლო და მხარე დამატებით 2 პროცენტს გადაიხდის, ანუ მთლიანობაში 3 პროცენტს, როგორც ამ კატეგორიიის საქმეების განხილვისათვისაა კანონმდებლობით დადგენილი.

როგორც ექსპერტები ირწმუნებიან, მედიაცია ეს არის ადამიანის არჩევანი: მის მაგივრად მოსამართლემ გამოიტანოს გადაწყვეტილება, თუ მედიაციისას - საკუთარი პრობლემა თავად მოაგვაროს, საკუთარი ინტერესების შესაბამისად.

საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს მედიაციის მრავალი მოდელი, მაგრამ უცვლელია ძირითადი პრინციპები: მხარეთა თანასწორუფლებიანობა და ნებაყოფლობითობა, მედიატორის ნეიტრალურობა და მიუკერძოებლობა, პროცესის კონფიდენციალურობა.

უცხოური პრაქტიკა

მედიაციის ინსტიტუტი ფართოდ გავრცელდა ამერიკის შეერთებულ შტატებში გასული საუკუნის 60-იან წლებში. იგი თავდაპირველად საოჯახო და შრომით დავებზე გამოიყენებოდა. შემდგომში კი ბიზნესმაც უკვე აქტიურად დაიწყო მისი გამოყენება.

„უზენაეს სასამართლოში მედიაციასთან დაკავშირებით კონფერენცია გაიმართა, სადაც უცხოელი სტუმრები იყვნენ მოწვეული და ცნობილმა ბრიტანელმა მედიატორმა თქვა: „მედიაცია ისეთი ინსტიტუტია და იმხელა დადებითი შედეგის მომტანია, რომ თუ ადამიანს ერთხელ ექნება შეხება მასთან, სხვა დროსაც დავის შემთხვევაში მედიატორს მიმართავს და სხვებსაც გაუწევს რეკომენდაციას, რომ დავა მედიატორის დახმარებით მოაგვაროს“, - აცხადებს **ლაშა კალანდაძე**.

არსებული სტატისტიკით ამერიკის შეერთებულ შტატებში საქმეების მხოლოდ 5 პროცენტი აღწევს სასამართლომდე, დანარჩენი საქმეები გვარდება დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებებით. ამერიკაში არსებობს დავების გადაწყვეტის ეროვნული ინსტიტუტი, რომელიც მუშაობს მედიაციის ახალი ფორმების შემუშავებაზე, ასევე არსებობს კერძო და სახელმწიფო მედიაციის ბიუროები.

აშშ-ში გამოკვეთილია ტენდენცია - რაც შეიძლება მეტი დავა იყოს გადაწყვეტილი მედიაციის დახმარებით. „დავათა გადაწყვეტის ნაციონალური ინსტიტუტი“ დაკავებულია მედიაციის ახალი მეთოდების შემუშავებით. ხოლო იურისტთა ასოციაცია აერთიანებს, დაახლოებით, 13000 სპეციალისტს დავის ალტერნატიული გზით გადაჭრის სფეროში.

დღესდღეობით მედიაცია მსოფლიოში კონფლიქტის გადაწყვეტის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა - ყველა დავის 80 პროცენტი, სადაც ჩართულია მედიაცია, სრულდება მხარეთა შეთანხმებით. განვითარებულ ქვეყნებში მედიაცია გახდა სამართლებრივი სისტემისა და კულტურის ნაწილი. საერთოდ, ევროპის ქვეყნებში მედიაციით წყდება საქმეების 40-80 პროცენტი, მთელ მსოფლიოში კი დავების 75-80 პროცენტი მედიაციით სრულდება.

საზღვარგარეთის უმეტეს ქვეყანაში მედიაცია სამართლებრივი სისტემის შემადგენელი ნაწილია. ამ ინსტიტუტმა ფართო განვითარება ჰპოვა აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიაში, ავსტრიაში, გერმანიაში, ინგლისში, სერბეთში, ნიდერლანდებსა და ბულგარეთში, ასევე, აზიის ქვეყნებში. სასამართლო მედიაცია განსაკუთრებით პოპულარული გახდა გერმანიაში.

არსებობს მედიაციის ორი სახე: **სასამართლო** და **არასასამართლო** მედიაცია.

სასამართლო მედიაცია გულისხმობს მედიაციის პროცესის წარმართვას თავად სასამართლოში. სასამართლო მედიაციის ინსტიტუტი არსებობს ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და ბევრ სხვა ქვეყანაში.

საფრანგეთში მედიატორი მოქმედებს თვით სასამართლო სისტემის შიგნით, მედიაციის პროცესის წარმართვა შესაძლებელია დაევალოს ფიზიკურ პირს, ასევე ასოციაციას. მოსამართლის როლი მედიაციის პროცესში შეზღუდულია და შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ განსაზღვროს, განეკუთვნება თუ არა საქმე მედიაციით გადასაწყეტ დავას.

გერმანიაში სასამართლო მედიაციისას მედიატორები არიან მხოლოდ მოსამართლეები, რომლებსაც გავლილი აქვთ სპეციალური კურსი და ისინი არ მონაწილეობენ საქმის არსებით განხილვაში.

ავსტრალიაში კერძო მედიატორები ძირითადად გადამდგარი მოსამართლეები არიან, სასამართლო მედიატორები კი - მოქმედი მოსამართლეები.

ექსპერტთა დასკვნით, **ჩინეთში** დავათა 30 პროცენტი წყდება მედიაციის საშუალებით.

არგენტინაში 1995 წელს მიიღეს კანონი „მედიაციისა და შეთანხმების შესახებ,“ რომლის თანახმადაც, დადგენილია სავალდებულო მედიაცია. მას შემდეგ, რაც სარჩელი შეტანილი იქნება სასამართლოში, მასზე მედიატორი ინიშნება. მედიატორთა რეესტრი წარმოებს იუსტიციის სამინისტროში.

დიდ ბრიტანეთში კი შექმნილია სპეციალური სამსახური „მედიაციასთან დაკავშირებული ცხელი ხაზი,“ რომელიც ეხმარება მოქალაქეებს, შესაფერისი პროცედურა შეარჩიონ დავის გადასაწყვეტად. გადასახადებს, რომლებიც დაკავშირებულია საოჯახო დავების დროს მედიაციის განხორციელებასთან, თავისთავზე სახელმწიფო იღებს. მედიაციის განვითარებისა და მედიატორთა მომზადების საკითხებს დიდ ბრიტანეთში რამდენიმე ორგანიზაცია აწარმოებს: „დავების ეფექტური გადაჭრის ბრიტანული ცენტრი“ (CEDR) და „არბიტრაჟისა და მედიაციის ცენტრი“ (JAMS).

გულგარეთის „მედიაციის შესახებ“ კანონის თანახმად, სასამართლო მედიაცია შეიძლება გავრცელდეს სამოქალაქო, საოჯახო, შრომით და ადმინისტრაციულ დავებზე.

მედიატორი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ნასამართლობის არმქონე პირი, რომელიც შეყვანილია იუსტიციის სამინისტროს მედიატორთა ერთიან რეესტრში.

რაც შეეხება **სერგეთის** კანონს „მედიაციის შესახებ,“ აქ მედიაცია შეიძლება გავრცელდეს საკუთრებასთან დაკავშირებულ დავებზე; საოჯახო სამართლებრივ დავებზე; კომერციულ და შრომითი ხასიათის დავებზე; ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლებრივ დავებზე.

პროექტს ახორციელებს შპს „ბესთკომპანი ჯორჯია“
ელ-ფოსტა: bestcompany_z@yahoo.com

მანანა ნიკოლაიშვილი პედაგოგთა პროფესიული სტანდარტის წინააღმდეგ

რა კითხვები და ეჭვი უჩნდება განათლების ექსპერტს პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ახალი სქემის თაობაზე

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

„ვერსია“ უკვე წერდა, რომ პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ახალი სქემის მიხედვით, ახალი სასწავლო წლიდან, მასწავლებლები კატეგორიებად: პრაქტიკოს, წარჩინებულ, მენტორ და მკვლევარ პედაგოგებად დაიყოფა, კატეგორიების გადასალახად კი კონკრეტული ვადა და პირობები დაწესდა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის პროგრამის კოორდინატორის, კახა ჟღენტის განმარტებით, ცვლილებები სწავლის პროცესის ხარისხის ამაღლების უზრუნველსაყოფად ტარდება. დღემდე არსებული სასერტიფიკაციო გამოცდით, პედაგოგის მხოლოდ თეორიული ცოდნა მოწმდებოდა და არ იყო განსაზღვრული, სერტიფიცირებული პედაგოგი რამდენად წარმატებით იყენებს ცოდნას საგაკვეთილო პროცესში. ახლებური სტანდარტით კი, მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის შეფასება უფრო მოსახერხებელი გახდება. მასწავლებლის საკვალიფიკაციო კატეგორიები გამოყოფილია კომპეტენციებისა და საქმიანობის შედეგების მიხედვით. კატეგორიებიდან ყველაზე დაბალი საფეხურია პრაქტიკოსი, ხოლო ყველაზე მაღალი — მენტორი. ყოველი საკვალიფიკაციო კატეგორიის მინიჭება დასტურდება შესაბამისი სახელმწიფო სერტიფიკატით. ყოველი მომდევნო კატეგორიის მასწავლებელი სრულად უნდა ფლობდეს წინა კატეგორიის კომპეტენციებს. პრაქტიკოს პედაგოგს აქვს თეორიული ცოდნა პროფესიულ უნარებსა და საგანში, რომლის საფუძველზეც კლასში წარმატებულ სასწავლო პროცესს ახორციელებს; წარჩინებული პედაგოგი ინდივიდუალურად მუშაობს ყველა მოსწავლესთან, მათი შესაძლებლობის გათვალისწინებით შეუძლია, დაეხმაროს წარმატების მიღწევაში; მკვლევარი პედაგოგი გაკვეთილს ატარებს საკუთარი პრაქტიკული კვლევების, პროფესიული საქმიანობის სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე — პრაქტიკულ კვლევას მაღალი დონის პედაგოგი ატარებს და შედეგის მიხედვით, კლასში სამოქმედო გეგმასაც ცვლის; ყველაზე მაღალი საფეხური „მენტორი“ პედაგოგია, რომელიც პრაქტიკული კვლევებით, ანალიზით, გაკვეთილების ჩატარების სტილითა და შედეგებით ავტორიტეტია. მისი გზა სამაგალითოა დამწყები პედაგოგებისთვის. ახალ ინიციატივასთან დაკავშირებით, „ვერსია“ განათლების ექსპერტ მანანა ნიკოლაიშვილს ესაუბრა.

— ეს პროექტი თავიდანვე ძალიან ზერელედ განიხილეს. სრულყოფილი დოკუმენტი დღემდე არ გამოუქვეყნებიათ. ბოლო წუთამდე ამბობდნენ — ჯერ ასეთ სქემას საერთოდ არ ვიღებთო; მერე ნახევარფაბრიკატი წარმოადგინეს, რისი უფლებაც არ ჰქონდათ. როგორ ვიმსჯელოთ სქემაზე, როცა მთავარი შეფასების სისტემა, კრიტერიუმები, რუბრიკები... არ არის შექმნილი და მოწესრიგებული? საინტერესოა, თუ სადავო პროცესი დაიწყო, მასწავლებელსა და სკოლის კომისიას, ან მასწავლებელს, სკოლასა და გარეკომისიას შორის, ვინ უნდა განიხილოს იგი? მაქვს ინფორმაცია, რომ რესპუბლიკური კომისია იქმნება, რაც არსად წერია. ვინ იქნება ამ კომისიის წევრი და რამდენად მოსახერხებელი იქნება მისი მუშაობა? სოფლებიდან, რეგიონებიდან, დაბებიდან დედაქალაქში ჩამოვა ყველა? მნიშვნელოვანია ისიც, რომ შემოვიდა ცნება კატეგორიის შენარჩუნების შესახებ. ესაა მინიმალური კრედიტების დაგროვების სისტემა ანუ, თუ ვერ დააგროვებ მინიმალურ კრედიტებს, ვერ შეინარჩუნებ კატეგორიას, ეს, პრაქტიკულად, დიპლომის ხელყოფას ნიშნავს.

„თუ ვერ დააგროვებ მინიმალურ კრედიტებს, ვერ შეინარჩუნებ კატეგორიას, ეს პრაქტიკულად, დიპლომის ხელყოფას ნიშნავს... თუ უცხოელებს მასწავლებლების გაყრა სურთ, აღიარონ და დაარქვან ყველაფერს თავის სახელი, მაგალითად, „კუდიანებზე ნადირობა“

— კრედიტები რა პრინციპით გროვდება?

— იგივე კითხვა დავსვი პრეზენტაციაზე, როცა ამ საკითხის განხილვა დაიწყო. საერთო კრედიტები კი აქვთ დამტკიცებული, მაგრამ როგორ გროვდება, რა აქტივობას რა კრედიტები ენიჭება, არ ვიცით; გაურკვეველია, ვინ იქნებიან ეს გარედამკვირვებლები. მასწავლებლთა პროგრამების კოორდინატორი კახა ჟღენტი ამბობს, თითოეულ რეგიონში 20 კარგი პედაგოგი მაინც ხომ იქნება, რომ ამ პროცესს ჩაუდგეს სათავეშიო. კარგი მასწავლებელი როგორ შეიძლება მოწყვიტო სამუშაო პროცესს და სხვისი გაკვეთილის შემფასებლად გამოიყენო? ეს საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევაა. ინსპექტორის ინსტიტუტი, რომელიც ევროპის ყველა ქვეყანაშია, ეტყობა, ამათ არც კი გაუგიათ, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც ინსპექტორები არიან გარეშემმოწმებლები. ჯერ ერთი, შემფასებელი სულ სხვა მეცნიერებაა — შემფასებელმა უნდა იცოდეს პედაგოგიკა, მეთოდიკა, უნდა იცნობდეს მრავალ დოკუმენტს, თეორიას... ამ დარგში ხარისხს იცავენ. დოკუმენტში არ ჩანს, მაგრამ თვითონ კოორდინატორი განმარტავს, რომ 3 წლის განმავლობაში მეთოდურ დახმარებასაც გარედან მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრი გაწევს ანუ ამას გააკეთებენ ტრენერები, რომლებიც თავად დასახმარებლები არიან და მათი 98% არაპროფესიონალია. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს ე. წ. ახალი სქემა არ იმუშავებს ან ჩატარდება ზუსტად ისე, როგორც სერტიფიცირებას ატარებდნენ — პირდაპირ „ჩეხავდნენ“ მასწავლებლებს (ქულებს აკლებდნენ).

— თქვენ მიერ დასახელებული ყველა ნიუანსი რომ გამოსწორდეს, ზოგადად, გამართლებულია ამ ახალი სტანდარტის შემოღება?

— არა, მაინც მიუღებელია ეს სქემა, რადგან მიუღებელია მათ მიერ დაწესებული ვადა და კრედიტების რაოდენობა. ვადა არ უნდა იყოს დაწესებული არც ერთ კატეგორიაზე. იქნებ გენიოსია ადამიანი და ყველაფერი ერთ წელიწადში შეძლო, რატომ უნდა ელოდოს ვადის გასვლას?

— კახა ჟღენტის განმარტებით, მომდევნო ეტაპზე გადასვლა, სურვილისა და მზაობის შემთხვევაში, პედაგოგს დაჩქარებული წესითაც შეეძლება.

— დაჩქარებული პროცესია სწორედ ის 4 წელი, თორემ, რეალურად, ეს სქემა დროში ძალიან გაწელილია.

— სხვადასხვა კატეგორიის მასწავლებელს რამდენად განსხვავებული ხელფასი ექნება?

— სამწუხაროდ, ჩვენ ქვეყანაში, ყველაფერზე ხარჯავენ ფულს, გარდა მასწავლებლებისა. არც ამჯერადაა განსაზღვრული ხელფასი კატეგორიის მიხედვით... მოკლედ, გაკეთდა სტანდარტი, სადაც ისეთი ამოცანები დაუსახეს საწყალ მასწავლებლებს, რომელსაც ვერავინ შეასრულებს.

— თუ ასეა, რა ტიპის მეთოდი უნდა შემუშავდეს, სისტემაში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად და როგორ მოეღოს ბოლო მასწავლებლებზე ყოველწლიურად ახალ-ახალი ექსპერიმენტის ჩატარებას?

— ყველაფერი გაცილებით მარტივია, სასერტიფიკაციო გამოცდა მასწავლებლობამდე უნივერსიტეტში უნდა ჩაბარდეს. მერე უკვე მთავარი კრიტერიუმია, როგორ ატარებს მასწავლებელი გაკვეთილს და როგორი მიღწევები აქვს მის მოსწავლეს. მორჩა! ასეა იმ ქვეყნებში, სადაც ადამიანის უფლებები დაცულია. სახელმწიფო გასცემს დიპლომს და შემდეგ იგივე სახელმწიფო აუქმებს? ასეთი რამ როგორ შეიძლება?

— შეიძლება, ეს სქემა იმ მასწავლებლებისთვის იყოს შექმნილი, ვინც განათლება კომუნისტურ პერიოდში მიიღო ანუ ეს იყოს ბრძოლა მხოლოდ „ძველი“ დიპლომების წინააღმდეგ?

— კომუნისტების დროს ხალხს კარგი განათლება აქვს მიღებული. მერე, როცა მოიშალა სისტემა, ახალმა თაობამ ვეღარაფერი ისწავლა. ძალიან დაბალი ხარისხის სპეციალისტები გვყავს და მსგავსი ტიპის სქემებითა და ტესტებით, მათი განათლების დონეს ვერ აამაღლებენ. თუ ვიღაც უცხოელებს უნდათ, გაყარონ ეს ხალხი ისევე, როგორც კომუნისტებისდროინდელი პროფესორ-მასწავლებლები გაყარეს, აღიარონ და დაარქვან ყველაფერს თავის სახელი, მაგალითად — „კუდიანებზე ნადირობა“.

ვის პოლიტიკურ ინტერესებში შედის რუსთავში მძღოლების გაფიცვა

გიორგი იაშვილი

ერთ-ერთი პირველი, ვინც რუსთავში სამარშრუტო ტაქსებთან დაკავშირებულ მოსალოდნელ ტენდერსა და მის შედეგებზე დაწერა, „ვერსია“ იყო. მაშინ ისიც ვთქვით, რომ საპროტესტო აქციებს ვინმე სათავისოდ გამოიყენებდა, პოლიტიკურ სარჩულს საუდებდა და სხვა კონტექსტში გადაიყვანდა. „ვერსიის“ ვერსია გამართლდა და ყველაფერი ჩვენს გაზეთში დაწერილი სცენარის მიხედვით განვითარდა.

სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს ადვოკატად რევაზ რიჟამაძე დაუდგა და საპროტესტო აქციებმაც იფეთქა. რამდენიმე მძღოლმა „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისთან გამართული აქციების დროს თავის დაწვაც კი სცადა, რიჟამაძე კი აქტიურად აპელირებდა, რომ ამ ტენდერში კახა კალაძის ინტერესები იკვეთებოდა მაშინ, როცა ტენდერი რუსული კომპანიის შვილობილმა კომპანიამ მოიგო და თუ ვინმეა ამ კომპანიასთან დაკავშირებული, პარლამენტარი კობა ნაყოფია გახლავთ, თუმცა მეწილე ისიც არ არის და, უბრალოდ, ამ კომპანიის ხელმძღვანელობასთან მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს.

არსებულმა მდგომარეობამ პიკს მაშინ მიაღწია, როცა რამდენიმე დღის წინ გაირკვა, რომ ერთ-ერთმა მძღოლმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ხელი მაშინვე ტენდერში გამარჯვებული კომპანიისკენ გაიშვირეს, მაგრამ უკვე თავად მძღოლებმა მოითხოვეს ობიექტური გამოძიება, ამის მიზეზი კი ის გახდა, რომ რეალურად, გამარჯვებული კომპანიის პირობები არცთუ კაბალური აღმოჩნდა, როგორც ამას თავიდან ხატავდნენ.

„გვეუბნებოდნენ, რომ მუშაობა 400 ლარზე მოგვიწევდა, მაგრამ ასე არ არის. პირობებს გავეცანით და უკვე ყველა თანახმაა, ამ კომპანიაში იმუშაოს. წინააღმდეგი მხოლოდ ის მძღოლები არიან, რომელთაც საკუთარი მანქანები ჰყავთ და მათში დიდი ფული აქვთ გადახდილი, ასეთი კი 400 მძღოლიდან 10 პროცენტიც არ არის“, — გვითხრა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ.

რეალობას ფარდა მას შემდეგ აეხადა, რაც მძღოლების ადვოკატი რევაზ რიჟამაძე რუსთავში ლეიბორისტული პარტიის მერობის კანდიდატად მოგვევლინა და განაცხადა, რომ არჩევის შემთხვევაში, უკვე ჩატარებულ ტენდერს გააუქმებს, რაც გამორიცხულია, რადგან ასეთ შემთხვევაში გამარჯვებული კომპანიისთვის გადასახდელი თანხა რუსთავის წლიურ ბიუჯეტზე მეტი იქნება, თანაც აქციაზე რიჟამაძეს მძღოლები შემოეფანტნენ, ახლა პარტიის აქტივისტები დაჰყავს და თან ახალ კომპანიასთან მუშაობის მსურველ მძღოლებს მოღალატეებად აცხადებს.

მოკლედ, ამ თემასთან კალაძის ინტერესების მიბმა არ გამოვიდა, მძღოლები აქციებზე გასვლას აღარ აპირებენ და ისე ჩანს, რიჟამაძეს არჩევნებისთვის ან ახალი პროვოკაცია სჭირდება, ან საკუთარი ავტორიტეტის იმედად ყოფნა.

რევოლუცია მსოფლიო მედიცინაში — C ჰეპატიტი განკურნებადია



რევოლუცია მსოფლიო მედიცინაში — ასე შეაფასეს წამყვანი ქვეყნების სწავლულებმა და მედიკამენტების ხარისხის ამერიკულ-ევროპულმა მაკონტროლებელმა ორგანიზაციებმა ამერიკული მეცნიერების მიერ მიღებული ახალი პრეპარატი, რომელიც C ჰეპატიტს თითქმის 100%-ით კურნავს, არ აქვს გვერდითი მოვლენები და შვებაა მათთვისაც კი, ვისაც მკურნალობის სხვა მეთოდმა არ უშველა. უკვე არაერთ პაციენტზეა გამოცდილი. სოვალდი (სოფოსბუვირი) მალე მილიონობით ადამიანის ცხოვრებას შეცვლის! დიახ, მილიონობით, რადგან დღეს მსოფლიოში 150 მილიონ ადამიანზე მეტი ადამიანი იტანჯება ქრონიკული C ჰეპატიტით და ყოველწლიურად 350 000 ადამიანის ბრძოლა ამ ვერაგ დაავადებასთან მარცხითა და ლეტალური შედეგით სრულდება. დღეს მეცნიერები უკვე დარწმუნებით ამბობენ, რომ ეს შემზარავი სტატისტიკა მალე წარსულს ჩაბარდება.

C ჰეპატიტი, საფრთხისა და გავრცელების თვალსაზრისით, შიდსს არ ჩამოუვარდება. ჰეპატიტების ყველაზე ხშირი და მწვავე შემთხვევები აფრიკაშია დაფიქსირებული. მას ექიმები ჩუმ ავადმყოფობას უწოდებენ, რომელიც ვითარდება შეუმჩნევლად, სიმპტომების გარეშე, მაგრამ ციროზამდე ან, უარეს შემთხვევაში, ღვიძლის კიბომდე მივყავართ.

ფრანგ **ჟან-მიშელ ლეკლანს** დიდი ხანია არაა ექიმებმა C ჰეპატიტის დიაგნოზი დაუსვეს. პაციენტი ამბობს, რომ ეს მისთვის ნამდვილი შოკი იყო: **„ქრონიკული დაღლილობის შეგრძნების მიზეზად ყოველთვის სტრესი და ცხოვრების დაძაბული რიტმი მიმაჩნდა. სამი შვილი მყავს, საკმაოდ გადატვირთული სამუშაო გრაფიკი, სპორტითაც დაკავებული ვარ და ძილიც არასოდეს მყოფნის. მეგონა, დისკომფორტს ეს ყველაფერი მიქმნიდა... სიმართლე გითხრათ, ექიმთან, პროფილაქტიკის მიზნით უფრო მივედი და, როცა ანალიზის პასუხი წავიკითხე, გავოგნდი. მას შემდეგ, დიდხანს ვფიქრობდი, რატომ მოხდა ასე. 30 წლის წინ ავარიაში მოვყევი და საავადმყოფოში სისხლი გადამისხეს. ალბათ მაშინ დავავადდი ამ სენით, რადგან ეს ავადმყოფობა მხოლოდ სისხლით გადადის. ახლა, მკურნალობის კურსს ვიტარებ, მაგრამ ჯერჯერობით, შედეგი არ მაქვს“.**

ჟან-მიშელ ლეკლანის მსგავსად, მილიონობით ადამიანი გადის სხვადასხვა მედიკამენტით მკურნალობის რთულ, თითქმის 1-წლიან კურსს, რომელსაც უამრავი გვერდითი მოვლენა აქვს: დეპრესია, სუიციდისკენ მიდრეკილება, ჰაერის უკმარისობა, კანის გამოშრობა, აუტანელი ტკივილი კუნთებსა და სისხლძარღვებში... გამოჯანმრთელების გარანტია კი, არ არსებობს. ავადმყოფობის „დაკონსერვებას“ 40-60% ახერხებს, სრულად გამოჯანმრთელება კი იშვიათობაა.

ამერიკელმა მეცნიერებმა მიიღეს ახალი მოლეკულა, რომელსაც შესწევს უნარი, ებრძოლოს და დაამარცხოს C ჰეპატიტის ყველაზე მწვავე ფორმაც კი. ფრანგი ექიმი **ქრისტოფ ეზოდი** აცხადებს, რომ პრეპარატი უკვე გამოცდილია და მან გასაოცარი ეფექტი აჩვენა: **„ეს წამალი გამოვცადეთ სხვადასხვა ვირუსზე, ავადმყოფობის სხვადასხვა ფორმასა და სტადიაზე. პრეპარატით ვუმკურნალეთ ძალიან მძიმე პაციენტებსაც, რომლებსაც უკვე უიმედო მდგომარეობა ჰქონდათ და ისღა დარჩენოდათ, სიკვდილს დალოდებოდნენ. მათ შორის იყვნენ შიდსის დიაგნოზის მქონე პაციენტებიც. შედეგი საოცარია: თითქმის ყველა 100%-ით გამოჯანმრთელდა ძალიან მოკლე დროში, არ აღენიშნებოდათ გვერდითი მოვლენები. მხოლოდ რამდენიმე მათგანს შეაწუხა პრეპარატის მიღების საწყის ეტაპზე მსუბუქმა თავბრუსხვევამ და თავისტკივილმა. ეს ნამდვილი გადატრიალებაა მედიცინაში“.**

„სოვალდით“ მკურნალობის ერთი კურსი სამთვიანია. პაციენტი დღეში მხოლოდ ერთ აბს იღებს. ექიმები ამტკიცებენ, რომ 10 ავადმყოფიდან 9 სრულად განიკურნება C ჰეპატიტისგან, მაგრამ საკითხავია, რამდენი მათგანი შეძლებს, შეიძინოს ეს „ჯადოსნური“ პრეპარატი, რადგან ის ძალიან ძვირი ღირს: მაგალითად, საფრანგეთში, 1 აბის შესაძენად, 800 ევროა საჭირო. მკურნალობის სამთვიანი, ანუ სრული კურსის ჩასატარებლად კი — დაახლოებით 70-80 ათასი ევრო. არ არის გამორიცხული, ძალიან მძიმე პაციენტებს, მეორე კურსიც დასჭირდეს, შესაბამისად, ფასი გაორმაგდება და 140-160 ათას ევროს მიაღწევს. ლაბორატორია „გილეადის“ (Gilead Scianses) ხელმძღვანელი **მიშელ მოლი** აცხადებს, რომ მაღალი ფასის მიუხედავად, მწარმოებლები პაციენტებს ეფექტურ და ეკონომიურ არჩევანს სთავაზობენ: **„დიახ, პრეპარატი საკმაოდ ძვირია, მაგრამ ასეთია ჩვენი ბიზნესსტრატეგია. მომხმარებელს ვთავაზობთ კარგ არჩევანს. არსებობს მკურნალობის სხვა, გაცილებით იაფი მეთოდები, მაგრამ ისინი შედეგს არ იძლევა. გამოდის, პაციენტი ჰაერში ყრის ფულს, ჩვენ შემთხვევაში კი, პრაქტიკულად, გამოჯანმრთელება გარანტირებულია“.**

ლაბორატორიამ „გილეადი“ ახალი მოლეკულა სხვა, შედარებით პატარა ამერიკული კომპანიისგან 11 მილიონ ევროდ შეისყიდა, დაადგინა მისგან მიღებული წამლის ფასი და ჯერჯერობით, მხოლოდ ძალიან მძიმე ავადმყოფებს კურნავს. სადაზღვევო კომპანიები, უმეტესად, უარს აცხადებენ ძვირადღირებული მკურნალობის დაფინანსებაზე. „სოვალდით“ მკურნალობისთვის საჭირო თანხის გადახდას კი ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ალბათ ბევრი ვერ შეძლებს. მიუხედავად ამისა, ანტიჰეპატიტური მედიკამენტის გაყიდვამ, მხოლოდ 4 თვეში, „გილეადს“ 2,27 მილიარდ დოლარზე მეტი მოუტანა და კომპანიის მოგება 3-ჯერ გაზარდა.

ამერიკული ლაბორატორია არ ჩქარობს, პრეპარატი საყოველთაოდ ხელმისაწვდომი გახადოს. „სოვალდის“ ბაზარი შეზღუდულია — მხოლოდ აშშ-ში, საფრანგეთსა და გერმანიაში იყიდება და კომპანია ჯერჯერობით მის გაიაფებასაც არ აპირებს მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე მოლაპარაკებები ხელმძღვანელ პირებს შორის უკვე დიდი ხანია მიდის. იმედია, C ჰეპატიტის დამამარცხებელი პრეპარატი მალე სხვა ქვეყნების ფარმაცევტულ ბაზარზეც გამოჩნდება.

ნინო ლურსმანაშვილი

ირაკლი ღარიბაშვილი: „ქვეყნის წინსვლის მთავარი პირობა ეკონომიკის განვითარებაა!“

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ქვეყნის წინსვლის მთავარი პირობა ეკონომიკის განვითარებაა:

„შევქმნით პრინციპულად განსხვავებულ, ჩვენი რეალობისთვის სრულიად ახალ ეკონომიკას. ამას იმიტომ არ ვამბობთ, რომ რეიტინგებში წავიწიოთ წინ. ჩვენი მიზანია, ხალხმა რეალურად იგრძნოს საკუთარ თავზე ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა, რეალურად დავძლიოთ უმუშევრობა და, ერთხელ და სამუდამოდ, დავამარცხოთ გაჭირვება ჩვენს ქვეყანაში. ჩვენი მთავრობის წარმატების საზომი იქნება ჩვენი ხალხის კეთილდღეობა. აი, ეს არის ხელისუფლების მთავარი მიზანი!“

პრემიერის თქმით, „ქართული ოცნება“ ის პოლიტიკური ძალაა, რომელიც ხალხს დაპირდა და ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გაათავისუფლა სასამართლო, პოლიცია, ბიზნესი, ტელევიზიები ხელისუფლების პოლიტიკური წნეხისგან.

მთავრობამ მათ შეუქმნა თავისუფალი გარემო, მისცა თავისუფალი გადაწყვეტილებების მიღებისა და მოქმედების საშუალება:

„უკვე დაწყებული გვაქვს და უნდა განვავითაროთ ხელსაყრელი პირობები ბიზნესისა და მეწარმეობისათვის, ამიტომ ინვესტიციების მოზიდვა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ქართული პროდუქციის ექსპორტის წახალისება, ქვეყნის საწარმოო, ენერგეტიკული და სატრანზიტო პოტენციალის გაზრდა ჩვენი პრიორიტეტებია. დასაქმება, ახალი სამუშაო ადგილები გულისხმობს ახალ პროფესიებს, კვალიფიციურ სპეციალისტებს, პროფესიონალებს, სამეცნიერო, საწარმოო კვლევებს და ასე შემდეგ“.

„ინტერპრესნიუსი“

შსს ხეების დარგვის აქციას — „მწვანე მომავალი“ შეუერთდა

შინაგან საქმეთა სამინისტრო პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივას შეუერთდა და გამწვანების აქციაში – „მწვანე მომავალი“ მონაწილეობა მიიღო. აქცია ქალაქ დუშეთში გაიმართა. შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ და შსს-ს სხვადასხვა დანაყოფის 300-მა თანამშრომელმა, გამწვანების აქციის ფარგლებში 1000 ნერგი დარგეს.

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, ხეების დარგვის აქცია „მწვანე მომავალი“ მთელი საქართველოს მასშტაბით მიმდინარეობს. პროექტის მიზანი საქართველოში გამწვანების პროცესის ხელშეწყობა და ჯანსაღი გარემოს პოპულარიზაციაა.

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული გამწვანების პროგრამის მიხედვით, ქვეყნის მასშტაბით 1 000 000 ნერგი დაირგვება.

„ვერსიანიუსი“

ვერსიანიუსი

შვეიცარიამ უკრაინელი და რუსი მაღალჩინოსნების „შავი სია“ გააფართოვა



შვეიცარიამ უკრაინელი და რუსი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ დაწესებული სანქციების სია გააფართოვა, — იუწყება უკრაინული მედია.

„ლიგა.ნეტ“-ის ინფორმაციით, შვეიცარიის სანქციების „შავ სიაში“ 10 რუსი და 5 უკრაინელი მაღალჩინოსანი მოხვდა, მათ შორის რუსეთის ვიცე-პრემიერი დიმიტრი კოზაკი, რუსეთის პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ყირიმში ოლეგ ბელავენცევი, სევასტოპოლის გუბერნატორი სერგეი მენიაილო, რუსეთის სახელმწიფო დუმის ვიცე-სპიკერი ლუდმილა შვეცოვა, დონეცკის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ლიდერი სერგეი პურგინი და სხვა ოფიციალური პირები.

ამასთან, სანქციები ითვალისწინებს „შავ სიაში" მოხვედრილი ყველა პირის შვეიცარიის ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვასა და შვეიცარიაში ფინანსურ ოპერაციებზე შეზღუდვებს. ამ პირების წინააღმდეგ სანქციები ძალაში 2 მაისს შევიდა.

„ინტერპრესნიუსი“

სიყვარულში იმედგაცრუებულებს ვვებულებაში უშვებენ

იაპონიის ერთ-ერთ მარკეტინგულ კომპანიაში თანამშრომლებს, რომლებიც იმედგაცრუებულნი დარჩნენ სიყვარულში, შეუძლიათ შვებულება აიღონ და გარკვეული დროით სამსახურში არ იარონ. აღსანიშნავია, რომ რაც უფრო ასაკოვანია თანამშრომელი, მით მეტი დღით სარგებლობის უფლება აქვს. კომპანიაში Hime & Company მიაჩნიათ, რომ შვებულება გულგატეხილ ადამიანს საშუალებას აძლევს, ეს ტრაგედია სახლის პირობებში გადაიტანოს და სამსახურს დასვენებული და ენერგიამოზღვავებული დაუბრუნდეს. ზოგჯერ დეკრეტული შვებულება ყველას არც კი სჭირდება, გატეხილ გულს კი ნებისმიერ შემთხვევაში დასვენება უნდა, — აცხადებს კომპანიის მეტრი მიკი ჰირიდატე. მის ფირმაში თანამშრომლებს, რომელთაც 24 წელი არ შესრულებიათ, წელიწადში ერთი დღით შეუძლიათ სიყვარული სახლში „იგლოვონ“, 25-დან 29 წლამდე მანდილოსნებს ამისთვის ორი დღის გამოყენება შეუძლიათ, ხოლო ისინი, ვინც 29 წელს ზემოთაა, წელიწადში სამდღიანი დასვენებით სარგებლობენ. 20 წლის გოგონებს ახალი სიყვარულის პოვნა ადვილად შეუძლიათ, უფრო ასაკოვნებისთვის კი საყვარელ ადამიანთან დაშორება გაცილებით მტკივნეულია, — ამბობს კომპანიის ხელმძღვანელი.

კაცებს გამეღოტებისგან აცრა იხსნის

ამერიკელმა მეცნიერებმა განაცხადეს, რომ ხუთი წლის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, შეძლებენ, ახალი საშუალება წარადგინონ გამელოტების წინააღმდეგ და ეს ქირურგიული მეთოდი არ იქნება. ექსპერიმენტების შემდეგ, იელის უნივერსიტეტის სწავლულები დარწმუნდნენ, რომ მუცლიდან აღებული ცხიმოვანი უჯრედების გამოყენებით მიიღებენ ისეთ ვაქცინას, რომელიც მამაკაცებს საერთოდ დაავიწყებს, რა არის თმის ცვენა. ხანგრძლივი ცდების შემდეგ მკვლევარებმა ნამდვილი აღმოჩენა გააკეთეს — ცხიმოვან უჯრედებს შეუძლიათ თავის კანზე თმის ზრდის სტიმულირება, რადგან ის ქიმიურ სიგნალს აძლევს ფოლიკულებს და „აღვიძებს“ მათ, საბოლოოდ კი, ეს თმის ზრდის სტიმულაციას იწვევს. ამჟამად სპეციალისტები მუშაობენ, ვაქცინას ხანგრძლივი ეფექტი ჰქონდეს და გვერდითი მოვლენები არ აღენიშნებოდეს, რათა ადამიანის ჯანმრთელობაზე ნეგატიური გავლენა არ იქონიოს.

„წაიყვანე მეცნიერი სახლში“

ამ მოწოდებით გაიმართა უჩვეულო აქცია ესპანეთში. მეცნიერები მზად არიან, შეასრულონ თქვენთვის აუცილებელი სამუშაო სახლში, საკუთარი გამოკვლევების დაფინანსების ფასად, — აცხადებენ აქტივისტები: კანდიდატები და დოქტორები ორგანული ქიმიის, ფიზიკის, მათემატიკის დარგებსა და სხვა სფეროებში. მიუხედავად იმისა, რომ პირველი აპრილი უკვე ჩავლილია, ამ აქციას მაინც სახუმარო ხასიათი ჰქონდა. ასეთი კრეატიული მეთოდით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლები შეეცადნენ, ხელისუფლების ყურადღება მიეპყროთ მეცნიერების არასაკმარის დაფინანსებაზე. იმისთვის, რომ ფული იშოვოს და დაიცვას დისერტაცია, მაგალითად, კრისტალოგრაფიის სპეციალისტი მზადაა, გაწმინდოს ავტომობილის შუშები, ფსიქიატრი კონსულტაციებს სთავაზობს ოჯახური ურთიერთობების სფეროში ან თეორიულ ფიზიკაში. აქცია „წაიყვანე მეცნიერი სახლში“ სულ რამდენიმე დღეს გაგრძელდება. ესპანელი სწავლულები იმედოვნებენ, რომ ჩინოვნიკები გაიგონებენ მათ „განწირულ ყვირილს“ და პროფესიის შეცვლა არ მოუწევთ.

პლანეტის ყველაზე სექსუალური ქალი

პოპულარულმა ჟურნალმა FHM პლანეტის ყველაზე სექსუალური ქალების ყოველწლიური რეიტინგი გამოაქვეყნა და 2014 წლის ჩამონათვალში ლიდერის პოზიციაზე ჯენიფერ ლოურენსი აღმოჩნდა — ჰოლივუდის მსახიობმა უკან ჩამოიტოვა 99 ცნობილი ლამაზმანი. „ამერიკული აფერის“ ვარსკვლავმა აღიარა, რომ ეს ფაქტი ესიამოვნა — ჩემთვის ეს ბევრს ნიშნავს. მადლობა ჟურნალის მკითხველს, მჯერა, სექსუალობა არ ნიშნავს იმას, რომ გესვას ტონობით კოსმეტიკა, გქონდეს იდეალური ვარცხნილობა და შესაშური აღნაგობა. ეს ცნება, პირველ რიგში, საკუთარი თავის რწმენასა და სახეზე ღიმილს უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ შარშან ეს ოსკაროსანი მსახიობი გამოცემის საუკეთესოთა ათეულში ვერ მოხვდა და მხოლოდ მე-20 ადგილს დასჯერდა. 2013 წლის ერთ-ერთი ფავორიტი, მომღერალი რიანა, რომელიც შარშან მეორე იყო, წელს მესამე პოზიციაზე ჩამოქვეითდა და ადგილი ბრიტანელ მსახიობს, მიშელ კიგანს დაუთმო. მსოფლიოს ყველაზე სექსუალური მანდილოსნების ტოპ-ათეულში შევიდნენ, ასევე, ბრიტანელი მოდელი და მსახიობი ემილი რატაჯკოვსკი, კეილი კიოკო, ბიონსე, რეალითი-შოუების ვარსკვლავი ლუსი მეკლენბურგი, მომღერალი ნიკოლ შერზინგერი და ფეხმძიმე სკარლეტ იოჰანსონი. ჟურნალის მკითხველებმა დააფასეს ასევე კეიტ მოსის, კრესიდა ბონსაის, ჯენიფერ ენისტონის, კარა დელევინის, ტაილორ სვიფტისა და კიმ კარდაშიანის მომხიბვლელობაც.

სულიერი საზრდოს ტალონებს არიგებენ

ესპანეთის ავტონომიური ოლქის — ესტრემადურას ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ახალგაზრდებს სულიერი საზრდო ტალონებით მიაწოდოს. ვაუჩერების გაცვლა აქაურ მოზარდებს წიგნებზე, DVD-დისკებზე, კინოს, თეატრის ბილეთებზე, ასევე ელექტრონულ ან ბეჭდვურ პრესაზე შეეძლებათ. რვა ტალონს მიიღებს ესტრემადურას ყოველი მოქალაქე 18-დან 30 წლამდე, თუმცა უფლება არ ექნება, თავისი ტალონები სხვას გადასცეს. ამ პროექტისთვის მთავრობამ ბიუჯეტიდან 384 ათასი ევრო გამოყო. ადგილობრივი ხელისუფლების მიზანია, ამ პროექტით ხელოვნება და განათლება ხელმისაწვდომი გახადონ ავტონომიის 12 ათასი მცხოვრებისთვის.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ტელეკომპანია „თრიალეთი“

032 239 38 23
599 25 13 31

რეკლამა „თრიალეთზე“
დაგვიკავშირდით

www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge

თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲐᲮᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

		1						
			1			2	6	5
		5	6	2			1	
	4			3				6
6		2		1		4		8
3				8			5	
	3			6	9	5		
5	9	8			3			
						9		

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

					6			
	5		9			1		
3	1			5		9	2	
8			7		3	4	1	
				6				
	2	7	4		8			5
	3	8		4			5	1
		2			5		3	
			3					

ᲠᲗᲣᲚᲘ

1		5	7	4				
	4	3						
7				1	9			
6		2		3		4	8	
		4		8		3		
	8	9		2		7		6
			2	9				3
						9	6	
				6	1	2		4

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	7		6	5	9			
	4							7
			8					1
		6	9				2	3
5								9
2	1				7	8		
4					5			
1							7	
			1	8	6		4	

ᲔᲮᲕᲔᲚ ᲓᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘ ᲰᲣᲐᲗ

მოწევა რომ მავნებელია, ამის შესახებ ყველამ იცის, თუმცა მეცნიერებმა ამჯერად კიდევ ერთი, არცთუ სასიამოვნო საიდუმლო გაგვიმხილეს: განაცხადეს, რომ ფეხმძიმობისას მოწევა და დედის ქცევითი პრობლემების გენეტიკური რისკი მომატებული აგრესიულობის მქონე ბავშვების დაბადებას იწვევს, განსაკუთრებით კი გოგონებში. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ე.წ. პრენატალური მოწევის ეფექტი დამოკიდებულია ტრიგერებზე, ამ შემთხვევაში, ასეთად რისკის გენეტიკური ფაქტორები გვევლინება. გამოკვლევა 1600 ტყუპზე ჩაატარეს, მონაცემები ადრეული ბავშვობის პერიოდში შეაგროვეს და დაადგინეს, რომ პატარებში, ვისი დედებიც ეწეოდნენ ფეხმძიმობისას, უფრო შესამჩნევი კონდუქტიური პრობლემები გამოვლინდა. აღსანიშნავია, რომ გარემოფაქტორებისა და გენების ასეთი ურთიერთქმედება განსაკუთრებით ცხადად გოგონებში გამოჩნდა.

შაქარი – ყველაზე მავნე პროდუქტი

შაქარი მეტად ტოქსიკური პროდუქტია, რომლის მოხმარების შემცირებაც აუცილებელია, ან მისი ალტერნატივის მოძებნაა საჭირო და სპეციალისტები გვირჩევენ, ყველაზე მავნე პროდუქტის სიაში შევიტანოთ. შაქრის მუდმივი მოხმარება მიზეზია ორგანიზმში პათოლოგიური ცვლილებებისა და საშიში დაავადებების განვითარებისა. საქმე ისაა, რომ შაქარი ტოქსიკური პროდუქტია და გაცილებით საშიშია ტრანსცხიმებზე. მრავალრიცხოვანი კვლევები ადასტურებს, რომ შაქრის ჭარბი მოხმარება ისეთ დაავადებებს იწვევს, როგორიც დიაბეტი, გულსისხლძარღვთა, ალცჰეიმერის დაავადებები თუ სხვადასხვა ანთებითი პროცესებია. შაქარს „ადანაშაულებენ“ სიმსივნის ფართოდ გავრცელებაშიც, იწვევს არტერიების დახშობას, რაც ინფარქტის მიზეზი ხდება და შეუძლებელია არ აღინიშნოს ინსულინის გამომუშავება, რომელიც ხელს უწყობს ცხიმების დაგროვებას. გარდა ამისა, შაქარს შეუძლია დააზიანოს უჯრედები და ნაადრევი დაბერების მიზეზიც გახდეს. ამიტომ აუცილებელია, საგრძნობლად შევამციროთ მისი მოხმარება.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

6	9	7	8	2	5	4	3	1
1	5	4	7	6	3	8	2	9
8	3	2	1	9	4	7	6	5
9	1	6	2	5	7	3	8	4
5	4	3	6	8	1	9	7	2
7	2	8	3	4	9	5	1	6
4	8	1	5	3	6	2	9	7
3	7	9	4	1	2	6	5	8
2	6	5	9	7	8	1	4	3

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

1	4	8	9	7	6	2	5	3
2	6	7	4	5	3	1	9	8
3	5	9	2	1	8	7	6	4
7	3	1	8	9	5	6	4	2
6	2	5	1	4	7	3	8	9
9	8	4	6	3	2	5	1	7
8	9	3	7	6	1	4	2	5
4	7	6	5	2	9	8	3	1
5	1	2	3	8	4	9	7	6

ᲠᲗᲣᲚᲘ

3	2	8	7	6	5	4	1	9
7	1	9	4	3	8	6	5	2
6	5	4	2	1	9	3	8	7
5	8	6	3	4	2	7	9	1
4	9	7	5	8	1	2	6	3
1	3	2	6	9	7	8	4	5
2	4	5	1	7	6	9	3	8
9	7	3	8	5	4	1	2	6
8	6	1	9	2	3	5	7	4

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

7	2	4	1	9	8	6	5	3
6	1	9	7	3	5	4	8	2
5	3	8	6	4	2	1	9	7
4	9	1	8	2	3	7	6	5
3	8	7	5	1	6	2	4	9
2	5	6	4	7	9	8	3	1
1	7	5	9	8	4	3	2	6
8	6	3	2	5	1	9	7	4
9	4	2	3	6	7	5	1	8

კიბო განკურნეს, მაგრამ არ აღიარებენ



კანადელმა სწავლულებმა სიმსივნის სამკურნალო მარტივი წამალი აღმოაჩინეს, მაგრამ მსხვილი ფარმაცევტული კომპანიები არ არიან დაინტერესებულნი, პრეპარატმა საყოველთაო აღიარება მოიპოვოს, ამ მიზეზით, ალბერტას უნივერსიტეტის მკვლევარების აღმოჩენის შესახებ მედიაში სიტყვაც არ თქმულა. ეს მარტივი ტექნიკაა, რომლის დროსაც არც ისე რთული სამკურნალო პრეპარატი გამოიყენება. მეთოდი ეფუძნება დიქლორაცეტატს (dichloroacetate), რომელიც ამჟამად ნივთიერებათა ცვლის დარღვევის სამკურნალოდ გამოიყენება. პრეპარატი არც პატენტს საჭიროებს და მისი გამოყენება ყველას, ყველგან და იაფად შეუძლია კიბოს საწინააღმდეგო ძვირადღირებული წამლების ნაცვლად, რომელსაც მსხვილი ფარმაცევტული კომპანიები აწარმოებენ. კანადელმა სწავლულებმა დიქლორაცეტატი ადამიანის უჯრედებზე შეამოწმეს — პრეპარატმა გაანადგურა ფილტვების, სარძევე ჯირკვლებისა და ტვინის სიმსივნური უჯრედები, მაგრამ ჯანმრთელი უჯრედები არ დაუზიანებია. ტესტირება მოხდა მღრღნელებზეც, რომლებიც კიბოს მძიმე ფორმებით იყვნენ დაავადებულნი — მათი სიმსივნური უჯრედები შემცირდა, როცა დიქლორაცეტატიან წყალს ასმევდნენ. ადამიანის სხეულში არსებობს ბუნებრივი, კიბოს საწინააღმდეგო უჯრედები, მიტოქონდრიები, მაგრამ მათ რომ მოქმედება დაიწყონ, „ხელისკვრაა“ საჭირო. მეცნიერები მიეჩვივნენ აზრს, რომ ამ მიტოქონდრიების უჯრედები დაზიანებულია და ამიტომ ისინი არაეფექტურია სიმსივნის წინააღმდეგ. მის ნაცვლად სწავლულები გლიკოლიზზე შეჩერდნენ, რომელიც ნაკლებად ეფექტურია და ორგანიზმისთვის უფრო დამანგრეველია. კიბოსთან ბრძოლაში მკვლევარებმა არჩევანი გლიკოლიზზე გააკეთეს, მაგრამ დიქლორაცეტატის გამოყენებისას ისინი მიტოქონდროიებს ეყრდნობიან — პრეპარატი „აღვიძებს“ უჯრედებს, რომლებიც სიმსივნეს ებრძვის. ფარმაცევტული კომპანიები კი არ აფინანსებენ ამ გამოკვლევებს, რადგან დიქლორაცეტატის მეთოდის დაპატენტება შეუძლებელია, ხოლო პატენტის გარეშე კი ფულსაც ვერ იშოვიან.

მუსიკა და დაავადებები

მრავალრიცხოვანი კველევებით დამტკიცებულია, რომ არსებობს „სამკურნალო“ მუსიკალური ინსტრუმენტები, რომელთა მოსმენა აუცილებელია. ბევრ ადამიანს აქვს ამოჩემებული საყვარელი მელოდია, რომელსაც ხშირად უსმენს. სწავლულებმა განსაზღვრეს ადამიანის მდგომარეობაზე მუსიკის ზემოქმედების სხვადასხვა შემთხვევა. მელოდია არა მხოლოდ ემოციურ განწყობაზე მოქმედებს, არამედ ფიზიკურზეც. თუ ადამიანი ჰარმონიაშია ამორჩეულ მუსიკასთან, ეს მასზე დადებით გავლენას ახდენს, ხოლო თუ პირიქით — მან შესაძლოა, გაურთულოს კიდეც მდგომარეობა. გარდა იმისა, რომ ესა თუ ის მელოდია მოქმედებს ადამიანზე, ინსტრუმენტებსაც ჰქონია მნიშვნელობა და თითოეული მათგანი ორგანიზმზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს. ასე მაგალითად, გიტარა, ვიოლინო, არფა და სხვა სიმებიანი საკრავები დადებითად მოქმედებს გულსისხლძარღვთა სისტემაზე. გარდა ამისა, ამ ინსტრუმენტების ხმებს ადამიანში თანაგრძნობის გამოწვევა შეუძლია. ფორტეპიანო, თურმე, ადამიანის ფსიქიკას აწესრიგებს, ორღანის ხმა თავის ტვინზე ახდენს დადებით გავლენას და მისი ჟღერადობა ასუფთავებს ენერგეტიკა. ჩასაბერი ინსტრუმენტების მოსმენა სუნთქვით სისტემაზე აისახება პოზიტიურად, ასუფთავებს ფილტვებსა და ბრონქებს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას. დასარტყამი ინსტრუმენტების ხმებიც სასარგებლო ყოფილა ორგანიზმისთვის — დადებითი ეფექტი აქვს ღვიძლის დაავადებებისას, აუმჯობესებს გულის რიტმსა და სისხლის მიმოქცევას.

მკვლევარებმა ისიც დაადგინეს, რომ დიდი კლასიკოსების მუსიკა ნამდვილ საოცრებას ახდენს. მაგალითად, მოცარტის ჰანგების მოსმენა თავის ტვინის მუშაობას ასტიმულირებს, კარგია კლასიკური მუსიკა რევმატიზმის დროსაც.

ᲒᲐᲠᲗᲝᲕᲐ

1. ლუთერანული ტაძარი
2.ლითონის დაშლა ქიმ. პროცესების შედეგად
3.არაბეთის მეფე „ვეფხისტყაოსანში“
4. ხალხური საგმირო თქმულებები
5. „ჯარისკაცის მამის“ რეჟისორი
6.ადამიანის ჩონჩხის ცენტრალური ნაწილი
7. შეუგნებელი ლტოლვა რაიმესაკენ
8. ... ქვაშავაძე „სამანიშვილის დედინაცვალში“
9.გრიგოლ აბაშიძის ისტორიული რომანი
10. მაროკოს დედაქალაქი
11. მუსიკაში: ჩქარი ტემპის აღმნიშვნელი ტერმინი
12. სქელი საზეთი ნივთიერება მანქანებისთვის
13. სუსტი ქარი, ნიავი
14.უეშმაკო, დაბნეული
15.კუნძული პარიზში
16.პეტერბურგის ბაღი „მგზავრის წერილებში“
17. ქალაქი სამეგრელოში
18. კომიკოსი ... დე ფიუნესი
19. ინდონეზიის კუნძული
20. სასულთნო აზიაში
21.ვინმეზე გაწეული უანგარო შრომა
22. მარიამ ღვთისმშობლის დედა
23. იგივე მუშმულა
24.სახურავი მასალა
25. იაპონელთა ჯიბის ყუთი
26. ვიდეოგოლი
27.მდ. ვოლგა შუა საუკუნ.
28.მარადიას შვილიშვილი „ნატვრის ხეში“
29.სიახლე, ახალშემოღებული
30. ქალაქი საფრანგეთში
31. მთრიმლავი ნივთიერება
32.ადამიანის სახის შესახედაობა გვერდიდან
33. რემბრანდტის მშობლიური ქალაქი
34. აგამემნონის ერთ-ერთი ასული
35. იტალიელი ექიმი-ფსიქიატრი
36. ძაფისებური წანაზარდი ადამიანის თავზე
37.იტალიელი კინორეჟისორი
38.დეკორატ. მცენარე
39.მუეძინის მოწოდება მინარეთიდან ლოცვისათვის
40.ფეხბურთის კარში გატანილი ბურთი
41. ღამის პატარა პეპელა
42. დიდი თეფში
43. მდინარე აფხაზეთში
44.XIIIს-ის ეკლესია ხულოს რაიონში
45.გოლიათი მონადირე ბერძნულ მითოლოგიაში
46. გარიჟრაჟის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
47.ფრანგი კომპოზიტორი შარლ ...
48.გრიგოლ რასპუტინის ნამდვილი გვარი
49. გარეული ფრინველი
50. კედლის ჭაღი
51. იტალიის საფეხბურთო კლუბი
52. უარყოფითად დამუხტული იონი
53. იგივეა, რაც თაღი
54.ირლანდიის სახელწოდება ირლანდიურ ენაზე
55.უცნობი სიდიდის აღმნიშვნელი ასო მათემატიკაში
56. მათემატიკური ორწევრი
57.„დორიან გრეის პორტრეტის“ ავტორი
58.ვულკანი ჰავაის კუნძულებზე მაუნა-...
59.წარსულში ცნობილი კამერუნელი მეკარე
60. ტროას მეორე სახელწოდება
61. ისრაელის წარმოების ავტომატი
62. პარაზიტი მცენარე
63. გერმანელი მწერალი და დრამატურგი
64. ნიუ-იორკის ერთ-ერთი რაიონი
65.მოკლედ აჭრილი წყვილმტევნიანი რქა
66. ბრაზილიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი
67. ზრდილობიანი დასტურის გამომხატველი სიტყვა
68. (ზღვ.) ხომალდის ტვირთი
69. პატარძლის თავსაბურავი
70. სამკურნალო მცენარე
71. აპრილის სახელწოდება ძველი ქართული წარმართული კალენდრით
72. შალაშინის სახეობა
73. ლენონის ქვრივი იოკო ...
74. რუსი საბჭოთა ილუზიონისტი
75. ნიგერიის ფულის ერთეული
76.არაბულ ქვეყნებში: ნაწილაკი, რომელიც დაერთვის მამის სახელს და უდრის ქართულ „ძე“-ს
77. დამუხტული ნაწილაკი
78. მღერიელების რიგის ძუძუმწოვარი
79. სოფელი მესტიის რაიონში
80. საზოგადოებაში მოკლე ხნით გაბატონებული ვემოვნება ჩაცმა-დახურვის საკითხში
81. აგენტი 007
82. მთის თუთიყუში
83.ჩეხი ჩოგბურთელი ... ლენდლი
84. პლანეტა იუპიტერის თანამგზავრი
85. საგაზაფხულო ხორბალი

ქალიშვილს მთა უქირავა

ფული ხეზე არ იზრდება, და ეს ყველამ იცის, მაგრამ ბევრი რამის ყიდვა რომ შეიძლება, ესეც ფაქტია. ერთ-ერთი ჩინელი ბიზნესმენის მეორე ნახევარმა გადაწყვიტა, მთა ექირავებინა, რათა ქალიშვილი უკეთ გასცნობოდა ცოცხალ ბუნებას. ყოფილი მასწავლებელი, 33 წლის განლინი ახლა დიდ დროს იმის ფიქრში ატარებს, ქმრის ფული ინოვაციურ პროექტებში როგორ დახარჯოს. ოჯახი ჩუნცინის პროვინციაში ცხოვრობს, ქალიშვილი კი მეოთხე კლასშია. ცოტა ხნის წინ დედამ აღმოაჩინა, რომ გოგონამ თითქმის არაფერი იცის ცოცხალ ბუნებაზე და გადაწყვიტა, ფული არ დაეზოგა, ოღონდ კი ეს პრობლემა გადაეჭრა. მან თხოვნით მიმართა ადგილობრივ საბჭოს და მთა იქირავა, რომლის 1,3 ჰექტარზე ფერმაა გაშენებული. ყოველთვიურად ქალს დაახლოებით 5 ათასი დოლარის გადახდა უწევს, სამაგიეროდ ქალიშვილი და მისი მეგობრები უპრობლემოდ შედიან ამ ტერიტორიაზე. ფერმერს, რომელიც აქ მიწას ამუშავებს, ნება დართეს, საქმე გაეგრძელებინა, თან ბავშვებს ხეებისა და ბოსტნეულის მოვლა-მოყვანას ასწავლის. ლინი დარწმუნებულია, რომ ეს საუკეთესო მეთოდია ქალაქელი ბავშვების ბუნებასთან სიახლოვისთვის.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
�პᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ნინო ლურსმანაშვილი
ᲛᲔᲓᲘᲐᲯᲒᲣᲤᲘ: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, ანი ბეშიტაიშვილი.
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘ: ნინო ებანოიძე
ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.